ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ 3
ისტორია..... 3
მდებარეობა..... 3
ფართობი 4
გეოგრაფია 4
მმართველობის ორგანოები..... 4
მოსახლეობა 4
ეკონომიკა 5
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა..... 5
საჯარო დაწესებულებები 6
ღირსშესანიშნაოებები 7

თავი II. ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2023-2028 წლებში.....10
შემოსულობები.....
გადასახდელები.....
2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი 11
2024 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა (6 თვე)..... 24

თავი III. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა 2025-2028 წლებში..... 29

ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00) 30
დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00) 45
განათლება (პროგრამული კოდი 04 00) 49
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)..... 50
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00).....68
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00) 110

თავი I. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

ფოთი საპორტო ქალაქია. ის საქართველოს ისტორიული კარიბჭეა.

ფოთი ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია შავი ზღვისპირეთში. იგი წარმოიქმნა მდინარე რიონის ქვემო წელზე მცხოვრებ უძველეს მოსახლეთა საფუძველზე, ძვ.წ.აღ. VI საუკუნეში.

ქალაქი ფოთი, მეცნიერთა უმეტესობის აზრით, მიიჩნევა ისტორიული ფაზისის მემკვიდრედ. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, ფაზისი და კოლხეთი იასონისა და არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობას დაუკავშირდა.

ქალაქის მოხერხებულმა ადგილმდებარეობამ მისი საგრძნობი დაწინაურება გამოიწვია სავაჭრო კუთხით. საქართველო შავი ზღვით უკავშირდებოდა დასავლეთის ქვეყნებს, რიონი-მტკვრის სანაოსნო გზით კი სამხრეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქი ფოთი იყო ბიზანტიურ სამყაროში კარგად ცნობილი კულტურული ცენტრი. კოლხეთის აკადემიის დაარსების თარიღად, ქართველი მეცნიერები, III საუკუნის შუა ხანებს თვლიან. მეცნიერები ბევრ წარჩინებულ, ცნობილ ადამიანებს მიაწერენ ამ აკადემიაში მოღვაწეობას.

თავად სახელწოდება ფოთი, პირველად ჩნდება ჩვენი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნეში და ამის შემდეგ, პრაქტიკულად, ეს სახელი მყარად დამკვიდრდა ქალაქის ტოპონიმიკაში.

ფოთის გამოცოცხლება, პორტის რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია, ქალაქის კეთილმოწყობა უკავშირდება გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და პუბლიცისტს ნიკო ნიკოლაძეს.

ფოთის ნავსადგური ემსახურება კავკასიის ძირითად და სარკინიგზო გზებს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. იგი არის XXI საუკუნის აბრეშუმის გზის დამაკავშირებელი წერტილი.

ფოთს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საქართველოს ეკონომიკაში, ასევე აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის ეკონომიკაში, რომელთაც არა აქვთ დასავლეთის ზღვებისა და ოკეანეების პორტებთან მისადგომები. აქედან გამომდინარე, ფოთის პორტის მოდერნიზება არის არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნებისათვის უაღრესად პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტი.

მდებარეობა

ქალაქი ფოთი მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, კოლხეთის დაბლობზე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. რიონის შესართავთან.

ფოთს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით - ხობის რაიონი და მდინარე რიონის მარჯვენა ტოტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - მდინარე კაპარჭა და პალიასტომის ტბა.

საქართველოს დედაქალაქიდან ქალაქი ფოთი დაშორებულია 320კმ-ით. ქალაქში ფუნქციონირებს სარკინიგზო ხაზი (ფოთი-თბილისი), რომელიც ამოქმედდა 1872 წელს.

საავტომობილო ხაზით ქალაქი უკავშირდება ყველა რეგიონს. ფოთიდან თურქეთის საზღვრამდე 90კმ-ია.

ქალაქი იყოფა 4 ისტორიული განაშენიანების უბნად, რაც პრაქტიკულად უდევს საფუძვლად მის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფას, ესენია: კუნძულის უბანი, ნაბადის უბანი, ცენტრის უბანი და მალთაყვის უბანი.

ფართობი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კვ. კმ) 0.09%-ს, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის (7 468.2 კვ. კმ) 0.9%-ს შეადგენს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 65.8 კვ. კმ.

გეოგრაფია

ქალაქი ფოთი ზღვის დონიდან საშუალოდ 0.8-2 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ფოთისათვის დამახასიათებელია ვაკე რელიეფი. ქალაქის ტერიტორიის მიწები განეკუთვნება ქვიშა და ქვიშნარ ნიადაგებს. დაბალი ჰიფსომეტრიული დონე, ნიადაგ-გრუნტის წყლის სიახლოვე ზედაპირთან განაპირობებს დაჭაობების პროცესს. განსაკუთრებით იქ, სადაც ნიადაგის ზედაპირის დონე ზღვის დონეზე დაბალია, ხდება მისი ხელოვნურად ამაღლება. ფოთი და მისი შემოგარენი, მელიორაციულ - ეკოლოგიური თვალთახედვით, რთული რეგიონია. ეს სირთულე მისი კლიმატური პირობებითა და რელიეფური ფაქტორებითაა განპირობებული.

მმართველობის ორგანოები

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 35 წევრისგან. აქედან, 28 არჩეულია პროპორციული, ხოლო 7 - მაჟორიტარული სისტემით. წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, სოციალურ საკითხთა კომისია, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 4 ადმინისტრაციულ ერთეულს. ესენია: კუნძულის, ნაბადის, ცენტრის და მალთაყვის.

მოსახლეობა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 41 465 კაცია, რაც ქვეყნის მოსახლების 1,1%-ია.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით, საქართველოს ქალაქებს შორის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მე-7 ადგილზეა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1.1%-ს, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის 13.9%-ს შეადგენს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2023 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	**მოსახლეობა**	**ფართობი (კვ. კმ)**
სულ საქართველო	3 736 400	69 700
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი	299 300	7 468.2
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	41 465	65.8
პროცენტი საქართველოსთან	1.1%	0,09%
პროცენტი რეგიონთან	13.9%	0.9%

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 10 891 პენსიონერი.

870 ოჯახი (2482 წევრი) სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა.

ეკონომიკა

დღეს, ფოთი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ ქალაქად მიიჩნევა. ფოთის საზღვაო ნავსადგური შავი ზღვის აუზის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია. იგი მდებარეობს ტრასეკას კორიდორზე და წარმოადგენს კავკასიის სატრანზიტო, სატრანსპორტო ქსელის უდიდეს სეგმენტს. ფოთს, ევროპა-აზიის კორიდორში, მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა. საერთაშორისო გადაზიდვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სარკინიგზო-საბორნე კომპლექსს, რომელიც ფოთს უკრაინის ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, რუსეთის პორტებს აკავშირებს.

ქალაქში ფუნქციონირებს განბაჟების ეკონომიკური ზონა გეზ-ი.

ქალაქში საწარმოთა უმრავლესობა ფიქსირებულია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სექტორში, რაც განპირობებულია ფოთის პორტის ფაქტორით. საწარმოებიდან გამოსაყოფია შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“, რომელიც ეწევა საბითუმო ვაჭრობას მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი და ცხოველთა საკვებით, ხორბლის შესანახი ტერმინალი და ხორცპროდუქტების საწარმო „ნიკორა“. მუნიციპალიტეტში მოქმედებს საკონტეინერო ტერმინალები, პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ქარხნები, სამკერვალო ფაბრიკები, თევზის გადამამუშავებელი ქარხნები და სხვადასხვა მცირე საწარმოები.

მუნიციპალიტეტის საზღვაო ზოლში განვითარებულია ტურიზმი.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ქალაქის საავტომობილო ინფრასტრუქტურა მოიცავს 162 კმ სიგრძის საერთო სარგებლობის გზას. ქალაქის შიდა გზები ძირითადად ქვის ღორღის საფარითაა, მხოლოდ 55 კილომეტრზეა ასფალტის საფარიანი გზა.

შიდასაქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ემსახურება მუნიციპალური ორგანიზაცია შპს „ფოთის სატრანსპორტო კომპანია“. ქალაქში აგრეთვე, მუშაობს მრავალი კერძო გადამყვანი, რომელთაც აღებული აქვთ ქალაქის და საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანის შესაბამისი ლიცენზიები.

ფოთის საზღვაო ნავსადგური ყველაზე დიდი ნავსადგურია საქართველოში და მას მრავალმიზნობრივი დანიშნულება აქვს, გადაამუშავებს საკონტეინერო, თხევად, მშრალ, ნაყარ ტვირთებს და ემსახურება საბორნე მიმოსვლას. ნავსადგურში სულ 15 ნავმისადგომია, სადაც ხდება ყველანაირი სატვირთო მომსახურების განხორციელება. ნავმისადგომების

მთლიანი სიგრძე შეადგენს 2,900 მეტრს, სადაც 20-ზე მეტი საპორტო ამწეა განლაგებული და გადის 17 კმ-იანი სარკინიგზო ხაზი.

ნავსადგური ევროპის კარიბჭეა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საერთაშორისო ტვირთებისთვის და აქვს იდეალური ადგილმდებარეობა ცენტრალური აზიის სავაჭრო ჰაბის ალტერნატივით. ფოთის პორტიდან საბორნე მიმოსვლა ხორციელდება შავი ზღვის აუზის ნავსადგურებთან, როგორებიცაა უკრაინის, რუსეთის და ბულგარეთის პორტები და დაკავშირებულია ქვეყნის სარკინიგზო ქსელთან, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს საქართველოს დიდ ქალაქებს.

საჯარო დაწესებულებები

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება", რომლის შემადგენლობაში შედის 15 სკოლამდელი დაწესებულება - სააღმზრდელო პროცესს გადის 1500-მდე აღსაზრდელი.
- 11 საჯარო და 3 კერძო სკოლა, სადაც სწავლობს 6500 მოსწავლე.
- სსიპ პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“, რომელიც ახორციელებს 43 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას მოდულური, დუალური და ინტეგრირებული მიმართულებით. ასევე, ახორციელებს პროფესიული მომზადების 19 პროგრამას, სადაც 550-მდე პროფესიული სტუდენტი და მსმენელი უფასოდ იღებს განათლებას.
- სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის - „ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი“, რომელიც გათვლილია 1000 სტუდენტზე.
- ა(ა)იპ „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი“, სადაც სწავლობს 340 მოსწავლე.
- ა(ა)იპ „აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი“, სადაც სხვადასხვა პროგრამებს ეუფლება 250 მოსწავლე.
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი“, სადაც სხვადასხვა პროგრამებს ეუფლება 600 მოსწავლე.
- ა(ა)იპ “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი“, სადაც სხვადასხვა პროგრამებს ეუფლება 230 მოსწავლე.
- ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება".
- ა(ა)იპ “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი“.
- სსიპ "ქ. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი".
- სსიპ „ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი“.
- ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი", სადაც სპორტის 20 სახეობას ეუფლება 1156 ბავშვი.
- ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა“ ემსახურება 190 სპორტსმენს.
- ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი“, სადაც სპორტის ამ სახეობას ეუფლება 98 ბავშვი.

ღირსშესანიშნაობები

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა:

1. მაცხოვრის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარი

აღნიშნული ტაძარი წარმოადგენს კონსტანტინოპოლის „აია-სოფიას“ ასლს შემცირული მასშტაბით. ფოთის საკათედრო ტაძარი აშენებულია მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელსაც რადიალურად განლაგებული 12 ქუჩა უერთდება. 1912 წლამდე ის წარმოდგენდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის საკათედრო ტაძარს. საბჭოთა პერიოდში, კერძოდ 1935 წელს, შენობაში თეატრი განთავსებულა. 2012 წელს ძეგლზე ჩატარებულმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა ფოთის საკათედრო ტაძარი ქალაქის ღირსშესანიშნავ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აქცია.

2. ნიკო ნიკოლაძის კოშკი

ნიკო ნიკოლაძის კოშკი წარმოადგენს თურქთა მიერ 1723-1725 წლებში აშენებული გალავნიანი ციხის ნაშთს, რომელსაც იერი თურქეთისაგან ფოთის განთა-ვისუფლებისა და 1858 წელს ფოთის სანავსადგურო ქალაქად გამოცხადების შემდეგ შეეცვალა. 1870 წელს ციხის გალავანი და მეჩეთი მოშალეს, მთავარ შესასვლელს დააშენეს 2 სართულიანი კოშკი, რომელიც კონუსისებრი ხის შპილით ბოლოვდებოდა. კოშკის იერსახის საბოლოო ცვლილება ნიკო ნიკოლაძის სახელთანაა დაკავშირებული. მან 1896 წელს ციხე-კოშკს მოხსნა ხის შპილიანი კონსტრუქცია, მის ნაცვლად დააშენა ქვის 2 სართული და მე-5 სართულზე დაამონტაჟა 1870 წელს პარიზში დამზადებული სამმხრივი მექანიკური საათი. 2018 წელს დასრულებული რეაბილიტაციის შემდეგ, ნიკო ნიკოლაძის კოშკში მემორიალური გამოფენაა წარმოდგენილი.

3. ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი

შენობა აგებულია 1907 წელს. აღნიშნული წარმოად-გენდა ვინმე ვაჭრის, ჰომერ ავგერინოს საცხოვრებელ სახლს. 1977 წლიდან, შენობაში ფუნქციონირებს ფო-თის კოლხური კულტურის მუზეუმი. მუზეუმში და-ცულია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლზე მოპოვებული გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის არტეფაქტები, ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და ქალაქის თვითმმართველობის ისტორიის ფოტო და დოკუმენტური მასალები. მუზეუმის ფონდსა-ცავში ინახება უნიკალური ნუმიზმატიკური მასალა, მარკების კოლექცია და სახვითი ხელოვნების ნიმუშები.

4. ფოთის შუქურა

ფოთის შუქურა ერთ-ერთი იმ შენობათაგანია, რომელიც მე-19 საუკუნიდან ამშვენებს ზღვისპირა ქალაქს. ის არამარტო სტრატეგიული ობიექტია, არამედ წარმოადგენს საინტერესო არქიტექტურულ კომპოზიციას. შუქურა უზრუნველყოფს ნავსადგურში შემოსული და გასული გემებისათვის უსაფრთხო ნაოსნობას. შუქურა არის თუჯის კოშკი, რომელიც შეკვეთილი იყო ინგლისში 1860 წელს. შუქურა ექსპლუატაციაში შევიდა 1864 წელს.

5. „ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი“ (სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალი)

ყოფილი ჰიდრომელიორაციული სასწავლებელი მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს აშენდა და წარმოადგენს სტალინური პერიოდის არქიტექტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შენობას. აღსანიშნავია, რომ შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები და ქალაქს ახალი უმაღლესი სასწავლებელი შეემატა, რომელიც თავისი პროფილით სანავსადგურო ქალაქის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

6. ტერ-ნიგოსოვის სახლი

ექსპერტ-ექიმის ტერ-ნიგოსოვის სახლი აშენდა 1894 წელს. ის ფოთში მოღვაწეობდა ნიკო ნიკოლაძის პერიოდში. ნიგოსოვმა თავისი სახლი ანდერძით დაუტოვა ქალაქს. დღეს, აღნიშნულ შენობაში მოწყობილია ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლი, 24 საათიანი მომსახურებით, რომელიც ემსახურება უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვთა სოციალურ რეაბილიტაციას.

7. სამხატვრო სკოლა

სამხატვრო სკოლა აშენებელია 1901 წელს. აღნიშნული წარმოადგენდა არქიტექტორ ედმუნდ ფრიკის საცხოვრებელ სახლს. გასაბჭოების პერიოდიდან, შენობა-ნაგებობა გადაეცა სახელმწიფოს, რომელშიც განთავსებული იყო პიონერთა სახლი, შემდგომ საბავშვო ბაღი. ამჟამად, აღნიშნულ შენობაში ფუნქციონირებს სამხატვრო სკოლა. აღსანიშნავია, რომ სამხატვრო სკოლის შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაო.

8. ბავშვთა ბიბლიოთეკა

ბავშვთა ბიბლიოთეკა აშენდა 1909 წელს შემოწირულობებითა და ფოთის მოსახლეობის მხარდაჭერით. თავიდანვე, შენობა გათვალისწინებულ იყო საბიბლიოთეკო სისტემისათვის.

9. სასტუმრო „ბრისტოლი“

აღნიშნული შენობა აშენდა 1901 წელს, რომელიც იყო პირველი სასტუმრო „ბრისტოლი“ ქალაქ ფოთში. დღეს შენობაში განთავსებულია სავაჭრო ობიექტები.

10. უშიშროების სამსახურის ყოფილი შენობა

ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1901-1910 წლებში, მოდერნის სტილში აგებული არქიტექტურული ობიექტი, გერმანელ არქიტექტორს, ედმუნდ ფრიკს ეკუთვნის. ნაგებობა ულამაზესი არქიტექტურული დეტალებით და მხატვრული ელემენტებით გამოირჩევა. შენობა, მანამდე, კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. თუმცა, მისმა მფლობელმა ვერ უზრუნველყო მისი მოვლა-პატრონობა, რის გამოც შენობა წლების განმავლობაში ნადგურდებოდა. ამჟამად, მიმდინარეობს შენობის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ, უშიშროების ყოფილი შენობა გამოყენებული იქნება მულტიფუნქციური დანიშნულებით.

კოლხეთის ეროვნული პარკი

კოლხეთის ეროვნული პარკი შეიქმნა 1999 წელს. იგი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნაბადისა და ჭურიის უბნის მიმდებარე აკვატორიის ნაწილს და პალიასტომის ტბის აუზს. მისი საერთო ფართობი 44308,5 ჰა-ია, რომლიდანაც ზღვის აკვატორია 15276 ჰა-ს შეადგენს.

კოლხეთის ეროვნული პარკი მიეკუთვნება დაცული ტერიტორიების IUCN მეორე კატეგორიას. 1997 წლიდან მას იცავს რამსარის კონვენცია, რომელიც წარმოადგენს მთავრობათაშორის შეთანხმებას,

რომელიც მიზნად ისახავს მიგრირებად, მიმომფრენ და წყალმცურავ ფრინველთა საბინადროდ ვარგისი არეალების დაცვას. იგი გამოირჩევა ველური ფლორისა და ფაუნის მაღალი ბიომრავალფეროვნებით, ენდემური და რელიქტური სახეობების სიუხვით.

თავი II. ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2023-2028 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
შემოსულობები სულ	**55 962,4**	**61 413,4**	**43 233,5**	**46 591,3**	**50 655,8**	**52 407,5**
შემოსავლები	**51 464,8**	**55 361,1**	**42 623,5**	**45 981,3**	**50 045,8**	**51 797,5**
გადასახადები	**25 154,9**	**26 745,0**	**29 431,3**	**32 789,1**	**36 853,6**	**38 605,3**
ქონების გადასახადი	**16 549,6**	**16 000,0**	**16 000,0**	**16 000,0**	**16 000,0**	**16 000,0**
დამატებითი ღირებულების გადასახადი	**8 605,3**	**10 745,0**	**13 431,3**	**16 789,1**	**20 853,6**	**22 605,3**
გრანტები	**11 167,4**	**8 946,1**	**267,2**	**267,2**	**267,2**	**267,2**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	**81,8**	**74,0**				
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	**11 085,6**	**8 872,1**	**267,2**	**267,2**	**267,2**	**267,2**
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**1 455,5**	**308,7**	**267,2**	**267,2**	**267,2**	**267,2**
მიზნობრივი ტრანსფერი	455,5	308,7	267,2	267,2	267,2	267,2
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	**9 630,1**	**8 563,4**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**
სხვა შემოსავლები	**15 142,5**	**19 670,0**	**12 925,0**	**12 925,0**	**12 925,0**	**12 925,0**
არაფინანსური აქტივების კლება	**4 497,6**	**6 052,3**	**610,0**	**610,0**	**610,0**	**610,0**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)	**4 721,5**	**14 450,1**				
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)	**14 545,1**					

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
I. შემოსავლები	**51 464,8**	**55 361,1**	**42 623,5**	**45 981,3**	**50 045,8**	**51 797,5**
გადასახადები	**25 154,9**	**26 745,0**	**29 431,3**	**32 789,1**	**36 853,6**	**38 605,3**
გრანტები	**11 167,4**	**8 946,1**	**267,2**	**267,2**	**267,2**	**267,2**

სხვა შემოსავლები	15 142,5	19 670,0	12 925,0	12 925,0	12 925,0	12 925,0
II. ხარჯები	34 240,4	42 948,8	38 649,8	40 885,0	43 110,8	44 790,5
შრომის ანაზღაურება	4 629,6	4 945,6	5 600,1	5 759,8	5 935,5	6 128,8
საქონელი და მომსახურება	8 632,4	10 511,7	9 819,5	10 744,1	11 597,0	12 410,9
პროცენტი	427,1	329,6	268,3	208,0	151,5	96,7
სუბსიდიები	15 634,1	19 269,9	19 381,5	20 374,7	21 528,4	22 254,7
გრანტები	68,8	670,6	59,3	59,3	59,3	59,3
სოციალური უზრუნველყოფა	1 811,8	2 348,0	2 393,1	2 510,6	2 510,6	2 510,6
სხვა ხარჯები	3 036,6	4 873,4	1 128,0	1 228,5	1 328,5	1 329,5
III. საოპერაციო სალდო	17 224,4	12 412,3	3 973,7	5 096,3	6 935,0	7 007,0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 825,4	26 286,8	3 398,2	4 550,0	6 418,0	6 490,0
ზრდა	11 323,0	32 339,1	4 008,2	5 160,0	7 028,0	7 100,0
კლება	4 497,6	6 052,3	610,0	610,0	610,0	610,0
V. მთლიანი სალდო	10 399,0	-13 874,5	575,5	546,3	517,0	517,0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	9 823,6	-14 450,1	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	14 545,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	14 545,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	4 721,5	14 450,1	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	4 721,5	14 450,1	0,0	0,0	0,0	0,0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-575,4	-575,6	-575,5	-546,3	-517,0	-517,0
კლება	575,4	575,6	575,5	546,3	517,0	517,0
საშინაო	575,4	575,6	575,5	546,3	517,0	517,0
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2023 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 43 826.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 55 962.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში 12 135.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რამაც გეგმის 127.7% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, აღემატება 23 239.8 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ბალანსი

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი
I. შემოსავლები	39 720,1	51 464,8
გადასახადები	22 718,4	25 154,9
გრანტები	11 176,3	11 167,4
სხვა შემოსავლები	5 825,4	15 142,5
II. ხარჯები	35 410,3	34 240,4
შრომის ანაზღაურება	4 690,5	4 629,6
საქონელი და მომსახურება	9 139,9	8 632,4
პროცენტი	431,2	427,1
სუბსიდიები	15 868,2	15 634,1
გრანტები	68,8	68,8
სოციალური უზრუნველყოფა	1 985,3	1 811,8
სხვა ხარჯები	3 226,4	3 036,6
III. საოპერაციო სალდო	4 309,8	17 224,4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 454,3	6 825,4
ზრდა	12 560,9	11 323,0
კლება	4 106,6	4 497,6
V. მთლიანი სალდო	-4 144,5	10 399,0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-4 720,1	9 823,6
ზრდა	0,0	14 545,1
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	14 545,1
კლება	4 720,1	4 721,5
ვალუტა და დეპოზიტები	4 720,1	4 721,5
VII. ვალდებულებების ცვლილება	-575,6	-575,4
კლება	575,6	575,4
საშინაო	575,6	575,4
VIII. ბალანსი	0,0	0,0

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი
შემოსულობები	**43 826,7**	**55 962,4**
შემოსავლები	**39 720,1**	**51 464,8**
არაფინანსური აქტივების კლება	**4 106,6**	**4 497,6**
გადასახდელები	**48 546,8**	**46 138,8**
ხარჯები	**35 410,3**	**34 240,4**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**12 560,9**	**11 323,0**
ვალდებულებების კლება	**575,6**	**575,4**
ნაშთის ცვლილება	**-4 720,1**	**9 823,6**

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 51 464.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (39 720.1 ათასი ლარი) 129.6% და მთლიანი შემოსულობების 92.0%-ია. მათ შორის:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
შემოსავლები	**39 720,1**	**51 464,8**	**129,6**
გადასახადები	**22 718,4**	**25 154,9**	**110,7**
გრანტები	**11 176,3**	**11 167,4**	**99,9**
სხვა შემოსავლები	**5 825,4**	**15 142,5**	**259,9**

გადასახადების სახით მობილიზებულია 25 154.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 22 718.4 ათასი ლარის 110.7%-ია. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 21 684.6 ათასი ლარი) 3 470.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

დამატებული ღირებულების გადასახადიდან - მიღებულია 8 605.3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 6 938.6 ათასი ლარი) შედარებით 1 666.7 ათასი ლარით მეტია.

ქონების გადასახადიდან - მიღებულია 16 549.6 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 14 360.1 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) მიღებულია 73,8 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 173.6 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1 942.1 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან

(ფაქტი – 14 746.0 ათასი ლარი) შედარებით 1 803.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის.

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
გადასახადები	**22 718,4**	**25 154,9**	**110,7**
ქონების გადასახადი	**14 100,0**	**16 549,6**	**117,4**
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	12 178,0	14 360,1	117,9
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	30,0	73,8	246,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	40,0	173,6	434,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	22,0	8,0	36,4
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 830,0	1 934,1	105,7
დამატებითი ღირებულების გადასახადი	**8 618,4**	**8 605,3**	**99,8**

გრანტების სახით მიღებულია 11 167.4 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულია 81.8 ათასი ლარი, სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 11 085.6 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 455.5 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად - 1 000.0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 9 630.1 ათასი ლარი.

N	გრანტის სახე	გრანტის მიზნობრიობა	შემოსავლები (ათ. ლარებში)
1	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	გაეროს განვითარების პროგრამასა და სსიპ ფოთის მუნიციპალიტეტს შორის პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობის (M4EG)" პროგრამის 00133169 (M4EG) Facility განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა	81,8
2	მიზნობრივი ტრანსფერი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	61,4
3	მიზნობრივი ტრანსფერი	„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის	220,0
4	მიზნობრივი ტრანსფერი	„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის	174,0
5	მიზნობრივი ტრანსფერი	„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის	6,0
6	მიზნობრივი ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, N2 საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები	271,4
7	სპეციალური ტრანსფერი	ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	1 000,0
8	სპეციალური ტრანსფერი	სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემა	171,0

N	გრანტის სახე	გრანტის მიზნობრიობა	შემოსავლები (ათ. ლარებში)
9	კაპიტალური ტრანსფერი	26 მაისის ქუჩაზე ჭიდაობის დარბაზის კაპ. შეკეთება	115,7
10	კაპიტალური ტრანსფერი	მერიის ადმინისტრაციული შენობის ფართის გაზრდა	334,3
11	კაპიტალური ტრანსფერი	სამგზავრო ავტობუსისა და ნაგავმზიდი მანქანის შესყიდვა	433,3
12	სპეციალური ტრანსფერი	კოსტავას ქ. N22-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის სახურავის ნაწილობრივი შეკეთება	50,2
13	სპეციალური ტრანსფერი	სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალსართულიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაცია	1 537,0
14	სპეციალური ტრანსფერი	მინი სპორტული მოედნების კაპ. რემონტი	610,3
15	სპეციალური ტრანსფერი	ფოლკლორის ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სახურავის კაპ. შეკეთება	2,5
16	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, ნიკოლაძის სანაპიროს რეაბილიტაციის სამუშაოები	886,8
17	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, სერგი დანელიას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები	289,3
18	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, ლოლუას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები	390,8
19	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, 9 აპრილის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა შტოს რეაბილიტაცია	1 753,6
20	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	372,5
21	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, სამეგრელოს ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების N16, N18, N20, N22, N24 მიმდებარედ ტროტუარის საფარის რეაბილიტაცია	120,5
22	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე კრივის დარბაზის კაპიტალური შეკეთება	43,7
23	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია	1 214,3
24	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, ვატაევის ქუჩის (დ. აღმაშენებლის ქუჩიდან 9 აპრილის ხეივნამდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები	400,0
25	კაპიტალური ტრანსფერი	ქალაქ ფოთში, ლიეპაიას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები	635,9
	გამოყოფილი გრანტების ჯამი		**11 176,3**

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 15 142.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 825.4 ათასი ლარი) 259.9%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (5 393.0 ათასი ლარი) გაზრდილია 9 749.5 ათასი ლარით.

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
სხვა შემოსავლები	**5 825,4**	**15 142,5**	**259,9**
შემოსავლები საკუთრებიდან	**3 686,3**	**3 548,3**	**96,3**

პროცენტები	876,3	1 012,0	**115,5**
რენტა	**2 810,0**	**2 536,3**	**90,3**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	2 750,0	2 443,0	**88,8**
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	60,0	93,3	**155,5**
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**709,1**	**856,2**	**120,7**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**689,1**	**837,3**	**121,5**
სანებართვო მოსაკრებელი	50,0	113,5	**227,0**
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	2,4	
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	30,0	0,1	**0,3**
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	609,1	721,3	**118,4**
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**20,0**	**18,9**	**94,5**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20,0	18,9	**94,5**
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**1 100,0**	**1 235,7**	**112,3**
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**330,0**	**9 502,3**	**2 879,5**

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ ობიექტები დაიხურა არამომგებიანობის გამო.

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2023 წელს მობილიზებული იქნა 4 497.6 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (4 106.6 ათასი ლარის) 109.5 %-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 4 106.9 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 390.3 ათასი ლარი.

ათას ლარში

დასახელება	**2023 წლის გეგმა**	**2023 წლის ფაქტი**	**შესრულება %-ში**
არაფინანსური აქტივების კლება	**4 106,6**	**4 497,6**	**109,5**
ძირითადი აქტივები	**3 756,6**	**4 106,9**	**109,3**
არაწარმოებული აქტივები	**350,0**	**390,3**	**111,5**
მიწა	350,0	390,3	111,5

ფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრულია 4 720.1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შეადგინა 4 721.5 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა -575.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას, შემდეგ საინვესტიციო პროექტზე:

„საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტი“ (2 ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და 247 ცალი ნარჩენების კონტეინერი).

ფოთის მუნიციპალიტეტისათვის სამგზავრო (რვა ნახევარი მეტრის სიგრძის) ავტობუსების - 10 (ათი) ერთეული და მისი სათადარიგო ნაწილების გადაცემის შესახებ.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულება ჯამში შეადგენდა 3 823.4 ათას ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3 247.8 ათას ლარს.

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 4 721.5 ათასი ლარი. 2023 წლის ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 4 721.5 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ - 14 545.1 ათასი ლარი.

2023 წელს **გადასახდელების** გეგმა შეადგენდა 48 546.8 ათ. ლარს, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 46 138.8 ათ. ლარი. გადასახდელების შესრულების 95.0%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. თანხობრივად, 2022 წელთან შედარებით დახარჯულია 9 541.1 ათ. ლარით მეტი, ხოლო 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით 16 392.1 ათ. ლარით მეტი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 8 361.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (8 786.6 ათასი ლარი) 95.2%;
- თავდაცვა - 158.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (174.0 ათასი ლარი) 90.9%-ია;
- ეკონომიკური საქმიანობა - 8 405.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (9 240.2 ათასი ლარი) 91.0%;
- გარემოს დაცვა - 4 914.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5 066.4 ათასი ლარი) 97.0%;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 6 145.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6 414.4 ათასი ლარი) 95.8%;
- ჯანმრთელობის დაცვა - 1 125.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 365.6 ათასი ლარი) 82.4%;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 8 197.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (8 576.2 ათასი ლარი) 95.6%;
- განათლება - 4 431.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4 463.9 ათასი ლარი) 99,3%;
- სოციალური დაცვა - 3 824.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3 883.9 ათასი ლარი) 98.5%;

2023 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებზე მიმართული სახსრების გეგმა შეადგენდა 48 546.8 ათ. ლარს, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 46 138.8 ათ. ლარი, ანუ 95.0%.

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით (ათას ლარებში)				
პროგრამული კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	9 536.2	9 094.8	95.4
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17 779.6	16 545.8	93.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 941.4	2 919.6	99.3
04 00	განათლება	4 463.9	4 431.9	99.3
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	8 576.2	8 197.1	95.6

06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5 249.5	4 949.6	94.3
	სულ ასიგნება	**48 546.8**	**46 138.8**	**95.0**

1. ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯა 16 545.8 ათ. ლარი. მათ შორის:

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე - 8 405.5 ათ. ლარი. აქედან:

- გზების კაპიტალურ შეკეთებაზე - 6 665.8 ათ. ლარი (გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ნიკოლაძის სანაპიროს, სერგი დანელიას ქუჩის, ქორქიას ქუჩის (გურიის ქუჩიდან დასავლეთით ბოლომდე) და ქორქიას ჩიხის (ქორქიას ქუჩიდან მე-7 საჯარო სკოლამდე), ზერაგიას ქუჩის, ლოლუას ქუჩის, 9 აპრილის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა შტოს, კონსტიტუციის ქუჩის, ვატაევის ქუჩის (დ.აღმაშენებლის ქუჩიდან 9 აპრილის ხეივნამდე), ლიეპაიას ქუჩის და სამეგრელოს ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი ს/სახლების №16, №18, №20, №22, №24 მიმდებარედ ტროტუარის).
- გზების მიმდინარე შეკეთებაზე - 379.2 ათ. ლარი (აღნიშნული სამუშაოები ჩატარდა სამეგრელოსა და რკინიგზის მოედნებზე, ჭანტურიას, ლაგრანჟეს, ფარნავაზ მეფის, ჩხაიძის, ილიას, აღმაშენებლის, კოსტავას, გორგასლის, აფხაზეთის, გაგრის ქუჩებზე და რუსთაველის რკალზე).
- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოებაზე - 849.0 ათ. ლარი (საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ჰორიზონტალურად მოინიშნა 7 970 მ^2 ფართი).
- ქუჩების სარემონტო სამუშაოებზე - 511.5 ათ. ლარი (დაგრეიდერდა 437 178 მ^2 გზის საფარი (110 ქუჩა), ქალაქის ქუჩების მოსახრეშად (73 ქუჩა) და მრავალსართულიანი ს/სახლების ეზოების მოსაზვინად (7 ეზო) გამოყენებულ იქნა 2 235.9 მ^3 მოცულობის ღორღი (ქვიშა).

ბ) გარე განათებაზე - 988.7 ათ. ლარი. აქედან:

- გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯების ანაზღაურებაზე - 676.8 ათ. ლარი.
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობაზე - 309.5 ათ. ლარი (გამოცვლილ იქნა დროსელი - 16 ც, სოდიუმის ნათურა - 22 ც, ეკო ნათურა -280 ც, გოფრირებული მილი - 307 გრძ.მ, ლედის სანათი 35 ც, ელ.კაბელი - 2515 გრძ.მ, ლედის სანათის დრაივერი - 192 ც, ელ. გამთიშველი - 71 ც, ლედის პროჟექტორი - 20 ც, განათების ბურთი - 55 ც, ლედ სანათის ჩიპი - 133 ც და სხვა).
- ფაზისის ქუჩის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა - 2.4 ათ. ლარი.

გ) სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექპლოატაციაზე დაიხარჯა 1 046.1 ათ. ლარი. აქედან:

- სატუმბო სადგურების ელ. ენერგიის ხარჯების ანაზღაურებაზე - 42.0 ათ. ლარი.
- სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობაზე - 843.4 ათ. ლარი. (წლის განმავლობაში ამოწმენდილ იქნა სხვადასხვა ქუჩებზე განთავსებული სანიაღვრე არხები სიგრძით - 202106 მ^2, დაგებულ-დამონტაჟებულ იქნა 8 ცალი ხიდ-ბოგირი).
- აბესალომ ვეკუას ქუჩაზე ახალი სატუმბი სადგურის მშენებლობაზე - 160.7 ათ. ლარი.

დ) ბინათმშენებლობაზე დაიხარჯა - 2 655.3 ათ. ლარი. აქედან:

- მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციაზე - 2 109.5 ათ. ლარი.
- მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, ექსპლოატაციაზე - 252.1 ათ. ლარი.
- საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობაზე - 293.7 ათ. ლარი.

ე) მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე - 99.4 ათ. ლარი (აღნიშნული თანხით დაფინანსდა ბავშვთა ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სახურავის კაპ. შეკეთება, თამარ მეფის №17-ში მდებარე სამხატვრო სკოლის ეზოში საჩრდილობლის მოწყობის პროექტირება-ექსპერტიზა, აღმაშენებლის №12-ში მდებარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შენობის ეზოში, სასაწყობე შენობის რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზა,

ხობის ქუჩა №22-ში მდებარე ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოები პროექტირება-ექსპერტიზით და გურიის ქუჩა №2-ში მდებარე ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოების პროექტირება-ექსპერტიზით).

ვ) კეთილმოწყობის ღონისძიებებზე დაიხარჯა - 1 226.9 ათ. ლარი. აქედან:

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაციაზე - 1 067.4 ათ. ლარი.
- სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე - 159.5 ათ. ლარი.

ზ) სერვისების ცენტრის ხელშეწყობაზე - 485.9 ათ. ლარი.

თ) სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებაზე - 209.9 ათ. ლარი.

ი) ცენტრალური პარკის ხელშეწყობაზე - 949.0 ათ. ლარი.

კ) მუნიციპალური ინსპექციის ხელშეწყობაზე - 479.1 ათ. ლარი.

2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები დაფინანსებულია 99.3%-ით. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2 941.4 ათ. ლარს, საკასო შესრულება 2 919.6 ათ. ლარი, ანუ 21.8 ათ. ლარით ნაკლები.

მათ შორის:

ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1 946.4 ათ. ლარით.

ბ) დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება - 131.9 ათ. ლარით.

გ) გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა - 615.0 ათ. ლარით.

დ) უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია - 226.3 ათ. ლარით.

3. განათლების სფერო დაფინანსებულია 4 431.9 ათ. ლარით. მათ შორის:

- ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ დაფინანსდა 4 037.3 ათ. ლარით.
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია - 61.5 ათ. ლარით.
- საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები - 276.1 ათ. ლარით (პროგრამის ფარგლებში განხორციელდა №2 საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები პროექტირება-ექსპერტიზით).
- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დაფინანსდა 57.0 ათ. ლარით (მომსახურება გაეწია სსიპ №4 და აფხაზეთის №21 საჯარო სკოლის მოსწავლეებს).

4. კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობისა და სპორტის დაფინანსებამ 8 197.1 ათ. ლარი შეადგინა. მათ შორის:

4.1. სპორტის სფერო დაფინანსდა 5 440.4 ათ. ლარით. მათ შორის:

ა) ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა“ დაფინანსდა 475.0 ათ. ლარით.

ბ) ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი“ დაფინანსდა 142.9 ათ. ლარით.

გ) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი“ დაფინანსდა 2 449.1 ათ. ლარით.

დ) ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსებამ 239.3 ათ. ლარი შეადგინა.
ე) კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში - 1 077.8 ათ. ლარით.

ვ) მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა - 62.6 ათ. ლარით.

ზ) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი“ დაფინანსდა 993.7 ათ. ლარით.

4.2. კულტურის სფერო დაფინანსდა 2 654.7 ათ. ლარით.

ა) ა(ა)იპ „აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი“ დაფინანსდა 348.0 ათ. ლარით.

ბ) ა(ა)იპ „ა. ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი“ დაფინანსდა 419.4 ათ. ლარით.

გ) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი“ დაფინანსდა 436.7 ათ. ლარით.

დ) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი“ დაფინანსდა 604.3 ათ. ლარით.

ე) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი“ დაფინანსდა 117.7 ათ. ლარით.

ვ) ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ დაფინანსდა 290.9 ათ. ლარით.

ზ) რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა დაფინანსდა 25.0 ათ. ლარით.

თ) კულტურული ღონისძიებები დაფინანსდა 407.6 ათ. ლარით.
ი) კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში - 5.1 ათ. ლარით (პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ფოლკლორის ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სახურავების კაპ. შეკეთების სამუშაოები, წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკის შიდა სარემონტო სამუშაოების პროექტირება-ექსპერტიზა და დ.აღმაშენებლის №39-ში მდებარე ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი“-ს შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით ექსპერტიზა).
4.3. რელიგიის სფერო - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძარი დაფინანსდა 102.0 ათ. ლარით.

5. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებები დაფინანსებულია 4 949.6 ათ. ლარით. მათ შორის:

5.1 ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებამ 1 125.3 ათ. ლარი შეადგინა. აქედან:

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) დაფინანსდა 248.0 ათ. ლარით.

ბ) ჯანმრთელობის დაცვის სხვა პროგრამები დაფინანსდა 877.3 ათ. ლარით. მათ შორის:

- მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა დაფინანსდა 342.1 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 647 ბენეფიციარს. მათ შორის 362 ქალს და 285 მამაკაცს.
- მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა 117.5 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 1174 მოქალაქეს. მათ შორის 862 ქალს და 312 მამაკაცს.
- სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამის დაფინანსებამ 40.0 ათ. ლარი შეადგინა. აღნიშნული პროგრამით ჩატარდა 382 კვლევა.

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამის ხარჯმა 338.8 ათ. ლარი შეადგინა. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 211 ბავშვმა. მათ შორის 65 გოგოა და 146 ბიჭი.
- ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა (21 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის ხარჯმა შეადგინა 7.5 ათ. ლარი. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 5 ბავშვმა. მათ შორის 2 გოგოა და 3 ბიჭი.
- კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1.4 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 2 ბავშვს. მათ შორის 1 გოგოა და 1 ბიჭი.
- საქმიანობათა ცენტრი ფოთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდა 30.0 ათ. ლარით. პროგრამით დახმარება გაეწია 450 ბენეფიციარს. მათ შორის 310 ქალს და 140 მამაკაცს.

5.2. სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 1 272.6 ათ. ლარი. მათ შორის:

- სარიტუალო მომსახურების პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 11.4 ათ. ლარი. აღნიშნული თანხიდან, ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით გაეწია 37 ოჯახს, ხოლო ჩასასვენებლი ჭურჭელი შესყიდულ იქნა 2 განსვენებულზე.
- მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 74.1 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ყოველთვიური დახმარება გაეწია 133 ბენეფიციარს. მათ შორის 132 ქალს და 1 მამაკაცს.
- ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის“ პროგრამა დაფინანსდა 181.8 ათ. ლარით. აღნიშნულ ცენტრში ოჯახურ გარემოში ცხოვრობს 10 ბავშვი.
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის ხარჯმა შეადგინა 50.5 ათ. ლარი. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 28 მოქალაქეს. მათ შორის 7 ქალია, 21 მამაკაცი.
- 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 25.6 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ყოველთვიურად დახმარება გაეწია 14 ოჯახს.
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 6.0 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 20 მოქალაქეს. მათ შორის 2 ქალია, 18 მამაკაცი.
- უსინათლოებისა და სმენადაქვეითებულთა მატერიალური დახმარების პროგრამა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად დაფინანსდა 52.7 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 75 მოქალაქემ. მათ შორის 33 ქალია, 42 მამაკაცი.
- უსინათლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენის პროგრამა დაფინანსდა 0.2 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 1 ქალმა.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის დახმარების პროგრამა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად დაფინანსდა 7.0 ათ. ლარით.
- სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდა 9.0 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 7 სტუდენტს. მათ შორის 2 გოგოა და 5 ბიჭი.
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების პროგრამა დაფინანსთა 0.3 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 1 ქალმა.
- ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 10.7 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 107 ოჯახმა. მათ შორის 67 გოგოა და 40 ბიჭი.
- მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 236.8 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 330 ოჯახმა.

- ❖ ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 36.0 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 18 ოჯახმა.
- ❖ სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების პროგრამა დაფინანსდა 148.8 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია სულ 284 მოქალაქეს. მათ შორის 140 ქალია და 144 მამაკაცი.
  - 17 წლამდე ასაკის დედით, მამითა და დედ-მამით ობლებს;
  - ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონრებს;
  - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 17 წლამდე ასაკის მოზარდებს.
- ❖ განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში, ასევე უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება დაფინანსდა 23.8 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 14 ოჯახმა. მათ შორის 7 ქალია და 7 მამაკაცი.
- ❖ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდა 15.7 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 6 ქალმა.
- ❖ თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა 64.8 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 16 ოჯახმა. მათ შორის 11 ქალია და 5 მამაკაცი.
- ❖ საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 8.8 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 44 ოჯახმა (101 ბავშვმა), მათ შორის 45 გოგოა და 56 ბიჭი.
- ❖ სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებისათვის სხვადასხვა დახმარების გაწევისათვის დაიხარჯა 103.9 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით დახმარება გაეწია 160 მოქალაქეს.
- ❖ დიაბეტით დაავადებულ (18 წლამდე) ბავშვთა მატერიალური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 15.0 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 13 ბავშვმა. მათ შორის 9 გოგოა და 4 ბიჭი.
- ❖ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა დაფინანსდა 170.7 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 282 ბენეფიციარმა.
- ❖ სოციალურად დაუცველი და საჭიროების მქონე მოსწავლეების სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა 9.0 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 90 ბავშვმა. მათ შორის 38 გოგოა და 52 ბიჭი.
- ❖ სოციალური საწარმოს „ჩვენი გული მოქარგული“ თანადაფინანსებამ შეადგინა 10.0 ათ. ლარი. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 40 ქალმა.

5.3 ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი“ დაფინანსდა 1 421.7 ათ. ლარით. აღნიშნულ სერვისით მომსახურება გაეწია 388 ბენეფიციარს.
5.4 შპს „ფოთის სატრანსპორტო კომპანიის“ სუბსიდირება დაფინანსდა 1130.0 ათ. ლარით.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტი მოიცავდა ისეთ ხარჯებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და თავდაცვის (სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის ხარჯები) შენახვის ხარჯები. პრიორიტეტი ასევე, მოიცავდა საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის ხარჯებს.
ამავე პრიორიტეტიდან დაფინანსდა ისეთი ხარჯები, როგორიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების

დაფარვა და სასამართლოს აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა) დაფარვა და მუნიციპალური არქივის მომსახურების ხარჯები.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**9 536.2**	**9 094.8**	**95.4**
01 01	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2 159.5	1 931.8	89.5
01 02	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	6 179.2	6 002.3	97.1
01 03	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	174.0	158.2	90.9
01 04	სარეზერვო ფონდი	0.4		0.0
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	16.3		0.0
01 06	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	1 006.8	1 002.5	99.6

ინფორმაცია 2023 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი და ათვისებული თანხების შესახებ

ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	გამოყოფილი თანხების დანიშნულების შინაარსი	გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა	შესრულება %-ში
01 02	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2023 წლის 8 მაისის A23090898-004/001 შეტყობინების შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 მარტის №030210020004053598 გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ (სს სადაზღვევო კომპანია უნისონისათვის 2480 ლარის ანაზღაურების შესახებ)	2 480.00	2 480.00	100.0
01 02	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	ფოთის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 1 ივნისის №2/757-22 გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის 1450 ლარის ანაზღაურების შესახებ)	1 450.00	1 450.00	100.0
01 02	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2023 წლის 8 დეკემბრის A23311721-004/001 შეტყობინების შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 5 დეკემბრის №030210021004995334 გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ (შპს "ტოტალი"-სათვის 59 716.79 ლარის ანაზღაურების შესახებ)	59 716.79	59 716.79	100.0

პროგრამული კოდი	დასახელება	გამოყოფილი თანხების დანიშნულების შინაარსი	გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა	შესრულება %-ში
	ჯამი		63 646.79	63 646.79	100.0

2024 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა (6 თვე)

2024 წელს დაგეგმილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 61 413.4 ათ. ლარი, მათ შორის გადასახადები 26 745.0 ათ. ლარი, გრანტები 8 946.1 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები 19 670.0 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 6 052.3 ათ. ლარი.

2024 წლის 6 თვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 34 912.2 ათ. ლარი. მათ შორის:

1. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2024 წლის 6 თვის მონაცემებით მობილიზებულია 32 190.2 ათ. ლარი. აქედან:
   ა) გადასახადებიდან მიღებულია 19 447.2 ათ. ლარის შემოსავლები;
   ბ) გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 9 277.2 ათ. ლარის შემოსავლები;
   გ) სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 3 465.8 ათ. ლარი.
2. არაფინანსური აქტივების კლებიდან ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 722.0 ათ. ლარი.

2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა შეადგენს 8 119 553.0 ათ. ლარს.

აქედან:

ა) მიმდინარეობს შემდეგი სამუშაოები:
- ❖ კონსტიტუციის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია.
- ❖ სარსანიას ქუჩაზე, გზის საფარის რეაბილიტაცია.
- ❖ გიორგი ათონელის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია.
- ❖ კიკალიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია.

ბ) დასრულდა შემდეგი სამუშაოები:
- ❖ ლოლუას ქუჩის რეაბილიტაცია.
- ❖ 9 აპრილის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა შტოს რეაბილიტაცია.
- ❖ ვატაევის ქუჩის (დ.აღმაშენებლის ქუჩიდან 9 აპრილის ხეივნამდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში 2024 წლის 6 თვეში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

1. ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯა 10 915.4 ათ. ლარი. მათ შორის:

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე - 7 599.6 ათ. ლარი. აქედან:
- ❖ გზების კაპიტალურ შეკეთებაზე - 7 231.9 ათ. ლარი. აქედან:
  -სარსანიას ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია - 1 623.8 ათ. ლარით;
  -კონსტიტუციის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია - 2 129.0 ათ. ლარით;
  -ვატაევის ქუჩის (დ.აღმაშენებლის ქუჩიდან - 9 აპრილის ხეივნამდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 699.2 ათ. ლარით;
  -ლოლუას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები - 985.0 ათ. ლარით;

-9 აპრილის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა შტოს რეაბილიტაცია - 865.2 ათ. ლარით;
-გიორგი ათონელის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია - 448.2 ათ. ლარით;
-ქალაქ ფოთში ქუჩების რეაბილიტაციის პროექტი, კიკალიშვილის ქუჩა - 234.5 ათ. ლარით;
-დემეტრე თავდადებულის ქუჩის და სანაპირო ზოლის შემაერთებელი ასფალტის გზის საფარის მოწყობა - 247.0 ათ. ლარით.

- ❖ საგზაო ნიშნები და უსაფრთხოებაზე - 89.1 ათ. ლარი.
- ❖ ქუჩების სარემონტო სამუშაოებზე - 278.6 ათ. ლარი.

ბ) გარე განათებაზე - 531.6 ათ. ლარი. აქედან:

- ❖ გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯების ანაზღაურებაზე - 353.3 ათ. ლარი.
- ❖ გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობაზე - 178.3 ათ. ლარი.

გ) სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექპლოატაციაზე დაიხარჯა 462.4 ათ. ლარი. აქედან:

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი მარადმწვანე მცენარეების, ბუჩქების, ერთწლიანი ყვავილების და სხვა ნარგავების დარგვა და მათი მოვლა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა, მავნებლების მოსპობის მიზნით, შხამქიმიკატებით შეწამვლა, სისტემატიური მორწყვა და ვეგეტაციამდე სასუქის შეტანა, დაბალი ნარგავების და ბუჩქების გაკრეჭვა-ფორმირება, ზრდასრული ხეების შესხეპვა-გადაბელვა, გადაბერებული ზეხმელი ხეების მოჭრა, სკვერებისა და ქალაქის ქუჩების მწვანე საფარის მრავალჯერადი გათიბვის სამუშაოები, ხეების შეწამვლა კირით, საჭიროებისამებრ, ნარგავების ირგვლივ ნიადაგის შემობარვა და სკვერებში სავალი გზების ფილების ნიჩბებით გაფხეკა-გაწმენდა, მალთაყვის ტყე-პარკის გაკაფვა-გათიბვა-გაწმენდის სამუშაოები.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები	გენდერული	არა
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის გამწვანება და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.		

პროგრამის დასახელება	კოდი	უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	03 05		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			350.0	1 377.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქის ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს. მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების დროებითი იზოლაცია, ძაღლების იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია და დაბრუნება კვლავ პირვანდელ ლოკაციაზე. ასევე, განხორციელდება ქალაქის ცენტრალურ ადგილებში უმეთვალყურეოდ დარჩენილი მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა, მათი გადაყვანა სპეცსადგომზე, იდენტიფიცირებულ მეპატრონეებთან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაფორმება და ჯარიმის თანხების ოპერატიულად შემოტანის უზრუნველყოფაზე კონტროლი. პრევენციული ღონისძიებების გატარება მოხეტიალე პირუტყვის ქალაქის აკრძალულ ტერიტორიებზე მოხვედრის თავიდან ასაცილებლად.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	არა	

მოსალოდნელი შედეგი	მაწანწალა ძაღლების კონტროლი, სპეციალური პროცედურების ჩატარებით მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილება. ქალაქის ქუჩებში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების ხეტიალის შემთხვევების აღმოფხვრა.

განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, განხორციელდება სკოლამდელი დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	5 220,0	5 620,0	6 060,0	6 530,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5 220,0	5 620,0	6 060,0	6 530,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარებში	
	04 01		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			5 220.0	18 210.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება"			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. დღეის მდგომარეობით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1430 ბავშვი. ბაგა-ბაღებში დასაქმებულია 160 აღმზრდელი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და			

	მოვლა-შენახვა, დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ინკლუზიური სწავლების დანერგვით თანაბარი ხელმისაწვდომობის შექმნა. ა(ა)იპ "თვითმმართველ ქალაქ ფოთის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში" ბავშვთა კვებისათვის დადგენილია ერთ ბავშვზე 4.3 ლარი დღეში, რომელიც განისაზღვრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის მიერ დამტკიცებული მენიუთი. (ბავშვთა კვების რაციონიდან და ღირებულებიდან გამომდინარე, დამტკიცებულ მენიუში დასაშვებია ერთ ბავშვზე გათვლილი კვების ღირებულების ცდომილება თეთრებით).		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	გენდერული	დიახ
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტები. ხარისხიანი მუნიციპალური სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სკოლისათვის მზაობა.		

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	8 033,4	8 344,2	8 759,8	8 866,7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	4 839,4	4 928,5	5 124,3	5 191,7
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	745,3	770,0	800,0	800,0

05 01 01 01	რაგბის სასპორტო სკოლის ხელშეწყობა	580,0	600,0	600,0	600,0
05 01 01 02	ხელბურთის კლუბის "ოქროს ვერძი" ხელშეწყობა	165,3	170,0	200,0	200,0
05 01 02	ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	500,0	500,0	500,0	500,0
05 01 03	სპორტისა და ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობა	2 000,0	2 000,0	2 100,0	2 100,0
05 01 07	მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა	144,1	158,5	174,3	191,7
05 01 09	მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსის ხელშეწყობა	1 450,0	1 500,0	1 550,0	1 600,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3 124,0	3 345,7	3 565,5	3 605,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2 788,0	2 945,7	3 165,5	3 205,0
05 02 01 01	აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ხელშეწყობა	407,5	430,0	480,5	500,0
05 02 01 02	არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხელშეწყობა	550,0	590,0	590,0	590,0
05 02 01 03	მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის ხელშეწყობა	580,0	600,7	650,0	650,0
05 02 01 04	ფოლკლორის ცენტრის ხელშეწყობა	650,0	680,0	750,0	750,0
05 02 01 05	საგამოფენო დარბაზის ხელშეწყობა	230,0	240,0	252,0	270,0
05 02 01 06	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	345,5	380,0	418,0	420,0
05 02 01 07	რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა	25,0	25,0	25,0	25,0
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	336,0	400,0	400,0	400,0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	70,0	70,0	70,0	70,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			4 839.4	15 244.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ "სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა"; ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი" ; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი"; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.			

პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის საჭიროა პროგრამის ფარგლებში, განხორციელდეს სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტზე თანაბარი ხელმისაწვდომობა (მათ შორის, 6-დან 18 წლამდე ასაკის ბიჭებისა და გოგონებისთვის), სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება. ასევე, განხორციელდება მინი სპორტული მოედნების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები და გენდერულად მგრძნობიარე სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, სადაც გათვალისწინებულია გოგონებისა და ბიჭებისთვის გასახდელები, სველი წერტილები, ადაპტირებული გარემო.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	დიახ
მოსალოდნელი შედეგი	მოყვარულების და სპორტსმენების მეტი რაოდენობის ჩართულობის უზრუნველყოფა ღონისძიებებში. თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სპორტის სახეობების მიმართულებით. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რაგბის სასპორტო სკოლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 01 01		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			580.0	1 800.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია რაგბით დაინტერესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაგბის განვითარება, მომავალი თაობის ჩაბმა რაგბის სექციაში, მოზარდთა ფიზიკური და გონებრივი განვითარება და ჯანსაღი ცხოვრების მიმართ უნარ-ჩვევების გამომუშავება. რაგბის სკოლის 7 მწვრთნელი (მათ შორის ქალი - 1, კაცი -6) ემსახურება,,ბ" ლიგის და 2009-2010, 2011-2012, 2013-2014, 2015-2016 წლებში დაბადებულთა საფესტივალო ასაკის 190 სპორტსმენს (ბიჭი - 190), რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში და რაგბის ფესტივალზე.			
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული სპორტსმენები და სპორტული შედეგები.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხელბურთის კლუბის „ოქროს ვერძი“ ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 01 02		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			165.3	570.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ხელბურთის სექცია უზრუნველყოფს სწავლებას ხელბურთის მიმართულებით, სპორტულ ობიექტზე 4 მწვრთნელის (ქალი - 2, კაცი - 2) მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებს, სულ 98 სპორტსმენს (გოგო - 63, ბიჭი - 35). კლუბის სპორტსმენები მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონატში. კლუბი ახორციელებს ღონისძიებას ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით. საქართველოს ნაკრებისათვის სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში შერჩეულია 8 სპორტსმენი. სხვადასხვა ქვეყნის კლუბებში გამოდის 3 სპორტსმენი.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა სპორტის ამ სახეობაში, ჯანსაღი თაობის აღზრდა, მასობრიობა, ფოთელი სპორტსმენების მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესება, წარმატებული სპორტსმენების ნაკრებისათვის შერჩევა, საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება და მაქსიმალური შედეგების დადება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	05 01 02		500.0	1 500.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მოიცავს პროექტებს, რომლებიც თავისი არსით ითვალისწინებს ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში არსებულ აქტუალურ გამოწვევებს და პასუხობს ახალგაზრდების იმ ინტერესებს, რომლებიც მათი ინტელექტუალური უნარებისთვის კონკურირებადი და რეპრეზენტაციული გარემოს შექმნას გულისხმობს. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია პროექტები, რომლებიც ახალგაზრდებს თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალებას აძლევს და ამავე დროს ქმნის წინაპირობებს ახალგაზრდების ჯანსაღი გართობისათვის. ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდული აქტივობის და არაფორმალური განათლების სფეროში ბავშვებისა და ახალგაზრდების მასობრივ ჩართულობას, მათი ინტელექტუალური და მხატვრული შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების აღმოჩენას, მოტივირებას, წახალისებას, წარმატებული სტუდენტებისათვის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდიის გაცემას, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერას, ახალგაზრდებში ეროვნული და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, მათი პიროვნული განვითარებისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას. სპორტული ქვეპროგრამების მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტული შედეგების მიხედვით მატერიალური წახალისების (ჯილდო) გაცემა. სპორტული მიღწევების გაუმჯობესება, ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გამოსვლა. სპორტის ოლიმპიური სახეობების და მასობრივი სპორტის განვითარება, სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნების,			

	დაცვისა და განვითარების შედეგად სპორტის პრიორიტეტული და სტრატეგიული განვითარების მიმართულებების განსაზღვრა, სპორტის სფეროში კანონშემოქმედებითი საქმიანობა, მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის გაზრდა, ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება. სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ტრანსპორტით მომსახურება საქართველოს მასშტაბით. წინამდებარე სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობისა და ქვეპროგრამების მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით მტკიცდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სპორტსმენთა ხელშეწყობის პროგრამა. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად, მატერიალური წახალისება (ჯილდო) გაიცემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე სპორტსმენებზე, მწვრთნელებზე და გუნდებზე. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე სპორტსმენში, მწვრთნელში იგულისხმება, სპორტული წარმატების მიღწევის მომენტისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სპორტსმენი, მწვრთნელი, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს ნაკრების სახელით ოლიმპიადებზე, საჭადრაკო ოლიმპიადებზე, მსოფლიო ჩემპიონატებზე, მსოფლიო თასის გათამაშებაზე, ევროპის ჩემპიონატებზე, საქართველოს პირველობებსა, ჩემპიონატებზე, როგორც სპორტის ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ სახეობებში და აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულ სპორტულ სახეობებში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის დასაბუთებული ბრძანებით, აღნიშნული პროგრამა შეიძლება გავრცელდეს იმ სპორტსმენებზე, მწვრთნელებზე, რომლებიც სპორტული წარმატების მიღწევის დროს ფაქტობრივად ცხოვრობდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან გამოდიან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით. მატერიალური წახალისების (ჯილდო) მიმღები პირის ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი დგინდება, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე სპორტსმენისა და მწვრთნელისთვის ვარსკვლავის გახსნას. ამასთანავე, პროგრამის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, მწვრთნელების მატერიალური წახალისებისას (ჯილდო), ასევე, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას ის მწვრთნელი, რომელიც არ მონაწილეობდა შეჯიბრებებში, მაგრამ მიუძღვის განსაკუთრებული წვლილი წარმატებული სპორტსმენების აღზრდაში. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სპორტსმენთა ხელშეწყობის პროგრამით განისაზღვრება პროგრამის ბენეფიციართა წრე, განხორციელების ძირითადი კრიტერიუმები, მატერიალური წახალისების (ჯილდო) ოდენობა და სხვა საკითხები.
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად გატარება, ნიჭიერი ახალგაზრდების მოტივირება და ინიციატივების წახალისება, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია (ჯილდო)	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 02		2025 წელი	2026-2028 წ.წ.

		წარმატებული სტუდენტებისათვის	55.0	220.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული და წარმატებული სტუდენტების ფინანსური წახალისება, რისთვისაც მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, წაახალისებს წარმატებულ სტუდენტებს, რაც ასევე ხელს შეუწყობს გაზრდილი მოტივაციით სწავლის ხარისხის მეტად ამაღლებას. **ქვეპროგრამის მართვა:** 1. კონკურსის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტს – საქართველოს მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო 6 თვის მანძილზე და აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ბოლო საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრის მიხედვით, სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში (სტუდენტს სემესტრში გავლილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 4 საგანი) აქვს არანაკლებ 81-90 ან 91-100 ქულა (A კატეგორია – ფრიადი ან B კატეგორია - კარგი), აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი. ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია (ჯილდო) თითოეულ სემესტრში გაიცემა 30 სტუდენტზე. დაფინანსება გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ, სემესტრულად, მიმდინარე სალექციო კურსის წინა სემესტრის ქულების გათვალისწინებით. ერთ სტუდენტზე გაცემული სტიპენდიის (ჯილდო) ოდენობა თითოეულ სემესტრში 625 (ექვსასოცდახუთ) ლარს შეადგენს, ხოლო 100 ქულიანი სტუდენტი დამატებით დაჯილდოვდება 625 (ექვსასოცდახუთი) ლარით. კონკურსანტების სიმრავლის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭება აკადემიური მოსწრების საუკეთესო ქულის მქონე კონკურსანტს, ხოლო თანაბარი ქულის არსებობის შემთხვევაში იმ კონკუსანტს, რომელსაც დამატებით წარმოდგენილი აქვს სამეცნიერო ნაშრომები, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო თანაბარი ქულების შემთხვევაში და სერთიფიკატების/ სამეცნიერო ნაშრომების, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანაბრად წარმოდგენისას ან არ არსებობისას, სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას თანაბარი ქულების მქონე სტუდენტებზე დამატებითი სტიპენდიის (ჯილდო) გაცემის შესახებ. 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი იქნას არაუგვიანეს 2025 წლის 3 აპრილამდე, ხოლო 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია 2025 წლის 3 სექტემბრამდე.			

	დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) განცხადება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი; გ) ფოტოსურათი - 2 ცალი (ზომა - 3სმ. x 4სმ.); დ) სტუდენტის საბანკო რეკვიზიტები; ე) ამონაწერი სტუდენტის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან (იუსტიციის სახლიდან/სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან); ვ) იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის შემთხვევაში, დოკუმენტი დროებითი რეგისტრაციის ადგილის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან. ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ, სემესტრის განმავლობაში გავლილი ყველა სალექციო კურსისა (საგანი) და აკადემიური მოსწრების ქულების მითითებით (მატერიალურად დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ხელმოწერით და სველი ბეჭდით დამოწმებული, ხოლო ელექტრონულად წარმოდგენის შემთხვევაში ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული შტამპით დამოწმებული). **გადაწყვეტილების მიღების წესი:** კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, ხოლო სტიპენდია (ჯილდო) კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშის ნომერზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. **2.** კონკურსის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველი საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტს – საქართველოს მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო 6 თვის მანძილზე და აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ბოლო საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრის მიხედვით, სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში (სტუდენტს სემესტრში გავლილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 4 საგანი) აქვს არანაკლებ 81-90 ან 91-100 ქულა (A კატეგორია – ფრიადი ან B კატეგორია - კარგი), აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი. ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია (ჯილდო) თითოეულ სემესტრში გაიცემა 5 სტუდენტზე. დაფინანსება გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ, სემესტრულად, მიმდინარე სალექციო კურსის წინა სემესტრის ქულების გათვალისწინებით. ერთ სტუდენტზე გაცემული სტიპენდიის (ჯილდო) ოდენობა თითოეულ სემესტრში 625 (ექვსასოცდახუთ) ლარს შეადგენს. კონკურსანტების სიმრავლის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭება აკადემიური მოსწრების საუკეთესო ქულის მქონე კონკურსანტს, ხოლო თანაბარი ქულის არსებობის შემთხვევაში იმ კონკუსანტს, რომელსაც დამატებით წარმოდგენილი აქვს სამეცნიერო ნაშრომები, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო თანაბარი ქულების შემთხვევაში და

	სერთიფიკატების/ სამეცნიერო ნაშრომების, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანაბრად წარმოდგენისას ან არ არსებობისას, სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას თანაბარი ქულების მქონე სტუდენტებზე დამატებითი სტიპენდიის (ჯილდო) გაცემის შესახებ. 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი იქნას არაუგვიანეს 2025 წლის 3 აპრილამდე, ხოლო 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია 2025 წლის 3 სექტემბრამდე. **დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:** ა) განცხადება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი; გ) ფოტოსურათი - 2 ცალი (ზომა - 3სმ. x 4სმ.); დ) სტუდენტის საბანკო რეკვიზიტები; ე) ამონაწერი სტუდენტის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან (იუსტიციის სახლიდან/სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან); ვ) იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის შემთხვევაში, დოკუმენტი დროებითი რეგისტრაციის ადგილის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან. ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ, სემესტრის განმავლობაში გავლილი ყველა სალექციო კურსისა (საგანი) და აკადემიური მოსწრების ქულების მითითებით (მატერიალურად დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ხელმოწერით და სველი ბეჭდით დამოწმებული, ხოლო ელექტრონულად წარმოდგენის შემთხვევაში ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული შტამპით დამოწმებული). **გადაწყვეტილების მიღების წესი:** კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, ხოლო სტიპენდია (ჯილდო) კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშის ნომერზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. **3.** კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობაში მყოფი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს, რომელიც საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის, ასევე, განაცხადის შემოტანის მომენტისათვის, რეგისტრირებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო 6 თვის მანძილზე და 2024 - 2025 სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ერთი აკადემიური წლის მოსწრების მიხედვით, მიღებული აქვს დადებითი შეფასება: GPA (კარგი//მაღალი//უმაღლესი) - 2.0 – 4.0 ქულა.

	კონკურსანტის აკადემიური მოსწრების შეფასების (GPA) ერთიან შკალად/განზომილებად გამოიყენება - 4.0 სკალა/სტანდარტი, მაგრამ თუ რომელიმე კონკურსანტის აკადემიური მოსწრების ქულა, მიმღები სასწავლებლის მიერ, გამოთვლილია განსხვავებული შეფასების სკალის მიხედვით (მაგალითად: 3; 8; 30; 100 ან სხვა) და ვერ ხდება ქულის დაზუსტება 4.0 სკალა/სტანდარტის ფორმატში, მაშინ პირველ რიგში, მოხდება, ამ კონკურსანტის აკადემიური მოსწრების ქულის გამოთანაბრება ერთიან სკალასთან - 4.0 მიმართებაში. კონკურსში გამარჯვებულად სახელდება ის 5 სტიპენდიანტი, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასების ქულა (RS - Rate Score). შეფასების ქულა (RS) განისაზღვრება შემდეგნაირად: კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი - GPA (ქულა), იყოფა მიმღები სასწავლებლის სარეიტინგო/რიგით ნომერზე - R (ესპანეთის ეროვნული სამეცნიერო საბჭოს კიბერმეტრიკსის ლაბორატორიის მონაცემთა ბაზის - მსოფლიოს უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგის მიხედვით: https://webometrics.info/en/world) და მიღებულ რიცხვს (დამრგვალების გარეშე) ემატება, კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი GPA (ქულა). ფორმულის სახით: RS = (GPA : R) + GPA. ამასთან: თუ მიმღები უმაღლესი სასწავლებელი არ იძებნება ზემოაღნიშნულ სარეიტინგო ცხრილში (კიბერმეტრიკსის ლაბორატორიის მონაცემთა ბაზაში) - განაცხადი არ განიხილება; ქვეპროგრამის შესაბამისად კონკურსანტის აკადემიური მოსწრების შეფასების (GPA) ერთიან შკალად (scala) / განზომილებად (შემდგომში - სკალა / S) გამოიყენება - 4.0 სკალა, მაგრამ თუ რომელიმე კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი GPA (ქულა) გამოთვლილია განსხვავებული შეფასების სკალის - S1 მიხედვით, კერძოდ, თუ მიმღები უმაღლესი სასწავლებლის შეფასების სკალა - S1 > 4.0-ზე (მეტია) ან ნაკლებია - S1 < 4.0-ზე, მაშინ, პირველ რიგში უნდა მოხდეს, ამ კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის - GPA (ქულის) გამოთანაბრება - GPA(E) / Grade Point Average (Equalization) ერთიან სკალასთან-4.0 მიმართებაში, შემდეგნაირად: ერთიანი სკალა - 4.0, იყოფა, მიმღები უმაღლესი სასწავლებლის მიერ დადგენილი შეფასების სკალის უმაღლეს ქულაზე (S1) და მიღებული შედეგი (დამრგვალების გარეშე) მრავლდება, კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელზე - GPA (ქულაზე), ფორმულის სახით: GPA(E) = (4 : S1) x GPA. შესაბამისად, ძირითად ფორმულაში, ნაცვლად GPA-სი უნდა ჩაისვას GPA(E). ფორმულის სახით: RS = (GPA(E) : R) + GPA(E); თუ პირველი და მეორე საფეხურის კონკურსანტთა შეფასების ქულა (RS) კვლავ ერთნაირია, მაშინ სტიპენდია გაიცემა იმ კონკურსანტზე: რომლის მიმღები სასწავლებლის სარეიტინგო/რიგითი ნომერი აღმატებულია; თუ შეფასების ქულა (RS) კვლავ ერთნაირია - რომელსაც გააჩნია მეტი წარმატებები (სამეცნიერო / კულტურულ / სპორტულ და ა.შ. ღონისძიებებსა/პროექტებში მონაწილეობა, აკადემიური, პროფესიული და სხვა მიღწევები), რაც გულისხმობს თანაბარ ქულიანებს შორის, უპირატესობის მინიჭებას, მათ შორის საუკეთესოს გამოვლენას ან თანხის თანაბრად განაწილებას, ამასთან, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მერის მიერ, ბრძანებით. თუ მიმღები უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დოკუმენტი შეიცავს კონკურსანტის მხოლოდ, განვლილ საგნებში მიღებულ

	შეფასებებს და კრედიტებს, მაშინ აკადემიური მოსწრების სემესტრული მაჩვენებელი/ქულა, გამოიყვანება შემდეგნაირად: თითოეული საგნისთვის განსაზღვრული კრედიტი მრავლდება, ამ საგანში მიღებულ ქულაზე, მიღებული ქულები ჯამდება და იყოფა სტუდენტის მიერ, საკონკურსო სემესტრში მიღებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე. საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის მონაწილე (საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი), აღნიშნულ კონკურსში არ დაიშვება. ასევე, არ დაიშვება საქართველოს მოქალაქე, რომელიც ჩარიცხულია საზღვარგარეთ უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე და სწავლობს საქართველოში აკრედიტირებულ/ავტორიზებულ სასწავლებელში (ფილიალი ან სხვა). აკადემიური მოსწრების საუკეთესო შედეგის მქონე 5 სტიპენდიატი, მიიღებს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდიას 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე (ბეჭდური სახით - Microsoft Word Document / Sylfaen), ხოლო უცხო ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტი - ორიგინალი უნდა იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული. განცხადებები მიიღება - 2024 - 2025 სასწავლო წლის დამთავრების შემდგომ 1 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით. **დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:** ა) განცხადება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი; გ) ფოტოსურათი - 2 ცალი (ზომა - 3სმ. × 4სმ.); დ) ავტობიოგრაფია / CV - ქართულ ენაზე (მ.შ. სამეცნიერო/კულტურულ ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილეობა, აკადემიური და პროფესიული მიღწევები და სხვა მონაცემები); ე) სტუდენტის საბანკო რეკვიზიტები; ვ) ამონაწერი სტუდენტის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ (საჯარო რეესტრიდან) ან დასურათებული მტკიცება - ე.წ. „სკრინშოტი“, რეესტრის ვებ-გვერდიდან (თარიღის წარმოჩენით), რეგისტრაციის - საცხოვრებელი ადგილის/მისამართის მითითებით; ზ) იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის შემთხვევაში, დოკუმენტი დროებითი რეგისტრაციის ადგილის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან. თ) GPA (მიმღები სასწავლებლის მიერ, სტუდენტის განვლილ საგნებში მიღებული აკადემიური მოსწრების შეფასებები/ქულები, კრედიტები და აკადემიური მოსწრების წლიური მაჩვენებელი/ქულა), როგორც ორიგინალი (უცხო ენაზე), ასევე, ქართულ ენაზე (ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული). **გადაწყვეტილების მიღების წესი:** კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, ხოლო სტიპენდია (ჯილდო) კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშის ნომერზე ქალაქ ფოთის

	მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული და წარმატებული სტუდენტების ფინანსური წახალისება (ჯილდო), სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მოტივაციის ამაღლება, სტიმულირება, კომპეტენციების ამაღლების, აკადემიური და პროფესიული წინსვლა - განვითარების ხელშეწყობა/მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტისა და ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	05 01 03		2 000.0	6 200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრში“ არსებული კრივის, ჭიდაობის, ჭადრაკის, ფეხბურთის, კალათბურთის, ძალოსნობის, მძლეოსნობის, ცხენოსნობის, კანოეს, ნიჩბოსნობის, წყლის სახეობების, აღმოსავლური ორთაბრძოლების, ძალისმიერი სამჭიდის სექციები უზრუნველყოფენ სწავლებას 93 მწვრთნელის (ქალი - 5, კაცი - 88) მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა სახის სპორტის სახეობების ასაკობრივ კატეგორიებს, სულ 1156 ბენეფიციარს (გოგო - 101, ბიჭი - 1055). სპორტსმენები მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონატებში, საერთაშორისო შეჯიბრებებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი“ ახორციელებს ღონისძიებას ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ახორციელებს სპორტული დარბაზისა და მოდნების მატერიალური ბაზის ტურისტული ლოკაციების მოწყობას, მოვლა-პატრონობას, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებას, ბავშვთა და მოზარდთა სპორტში მასობრივად ჩართვის ხელშეწყობას და განვითარებას. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზებას და შესაბამისი პირობების შექმნას, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თასების, მედლების, სიგელების, ჯილდოების, ბანერების, ვიდეო და ბეჭდვითი რეკლამების დამზადებისა და სხვა მარკეტინგული საქმიანობის წარმოებას, სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენას, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზებას, მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას, ქალი მწვრთნელების გადამზადებას, სპორტსმენთა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, სპორტით დაინტერესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ჯანსაღი თაობის აღზრდას, სპორტული მიღწევების გაუმჯობესებას.			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ჯანსაღი თაობის აღზრდა, სპორტული წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული			

	წრეებით სარგებლობისთვის პირობების შექმნა, მასობრიობა, სპორტსმენთა მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესება, წარმატებული სპორტსმენების ნაკრებისათვის შერჩევა, მათი მონაწილეობა ჩემპიონატებზე და მაქსიმალური შედეგების დადება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	05 01 07		144.1	524.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქში არსებობს რამოდენიმე მინი სპორტული მოედანი, რომელსაც საკმაოდ აქტიურად იყენებენ ახალგაზრდები თავისუფალი დროის ნაყოფიერად გასატარებლად. აღნიშნული სპორტული მოედნები საჭიროებენ მოვლა-პატრონობას.			
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა. სპორტით დაინტერესებულთა რაოდენობის ზრდა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	05 01 09		1 450.0	4 650.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი“.			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია: ა) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება; ბ) დასვენებისა და გართობის ღონისძიებების ხელშეწყობა და ორგანიზება; გ) პროფილის შესაბამისად, ბავშვთა აღზრდა და სპორტული დაოსტატება; დ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; ე) ცურვის ცალკეული სახეობების მიხედვით მუნიციპალური შეჯიბრებების მოწყობა; ვ) სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება. შესაბამისად, მრავალფუნქციურ საცურაო კომპლექსში მოწყობილია დიდი და მცირე ზომის საცურაო აუზები, ფიტნეს დარბაზი, მულტიფუნქციური სპორტული დარბაზი, სასტუმროს ნომრები, კაფეტერია, მწვრთნელებისა და საექიმო კაბინეტები, გასახდელები და სველი წერტილები ქალების/გოგონებისა და კაცების/ბიჭებისთვის.			
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად გატარება; სპორტით დაინტერესებულთა რაოდენობის ზრდა, ჯანსაღი თაობის აღზრდა, მასობრიობა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			3 124.0	10 516.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი"; ა(ა)იპ "არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი"; (ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება"; სსიპ "ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი".			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის კულტურული მიმართულებით გააქტიურებისათვის დაფინანსდება კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ღირსეულ გაგრძელებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახელოვნებო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. დაგეგმილია კულტურის დაწესებულებების სერვისების ისე დაგეგმვა, რომ პასუხობდეს ქალების/გოგონების, კაცების/ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს. პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახელოვნებო კონკურსებში, ფესტივალებსა თუ ღონისძიებებში ნიჭიერ ფოთელთა ჩართვა, ასაკის შეუზღუდავად. წარჩინებულ ხელოვანთა წახალისება, სახელოვნებო დაწესებულებებში პედაგოგთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა, ქალაქში მცხოვრებ ШШმ პირთა და ეროვნულ უმცირესობათა სხვადასხვა უნარების წარმოჩენა და სტიმულირება, ბიბლიოთეკების ხელშეწყობა კოლექციებისა და საარქივო მასალების გაციფრულების, ინტერნეტ-ბიბლიოთეკების განვითარების პროცესში, რაც გაზრდის სხვადასხვა მასალაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკების ონლაინ სასწავლო ცენტრებად ჩამოყალიბებას.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	დიახ	
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და საზოგადოების ყველა ჯგუფის კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა და მოტივაციის ზრდა;			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 01 01		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			407.5	1 410.5

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქში სახელოვნებო სამხატვრო განათლების ხელშეწყობა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ანიმაციის განვითარების, მინანქრის, ხალხური რეწვის დარგების (კერამიკა, ხის მხატვრული დამუშავება, მხატვრული ქსოვა (ხალიჩა, ფარდაგი, გობელინი) ტანსაცმლის მხატვრული დამუშავება (მოდელირება) აღდგენა-შენარჩუნება, სამხატვრო განათლების განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება, მოსწავლეთათვის შესაბამისი სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება, სამხატვრო და ნატიფი ხელოვნების პროფესიების სწავლება და წვლილის შეტანა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებაში, მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა, საერთაშორისო სამხატვრო პლენერებისა და ფოტოხელოვნების ფესტივალის ჩატარება, ახალი სახელოვნებო პროფესიების დანერგვა, სასწავლო სახელოსნოების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით, სახელოსნოების გადაიარაღება, სასწავლო პროგრამების აქტივიზაცია მოდერნიზაციის მიზნით, ტყავის მხატვრული დამუშავების დანერგვა მოდელირებისა და მხატვრული ქსოვის ფაკულტეტებზე და შშმ ბავშვებისათვის განმავითარებელი სახელოვნებო პროგრამის შეთავაზება (ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია და ხატვის არატრადიციული მეთოდები). სასწავლებელში ირიცხება საშუალოდ 250 მოზარდი (გოგო - 190, ბიჭი - 60).
მოსალოდნელი შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; ხელოვნების სასურველი მიმართულებებით სწავლება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა. საერთაშორისო სამხატვრო პლენერებისა და ფესტივალების მეშვეობით კონტაქტების დამყარება უცხოელ მხატვრებთან.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 01 02		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			550.0	1 770.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში სასწავლებლის მიზანია აზიაროს მოსწავლეები ხელოვნების საფუძვლებს; გააცნოს და შეაყვაროს მათ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები. მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები; იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, გამოუმუშაოს მოსწავლეებს სამყაროს მხატვრული აღქმის საკუთარი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები, პრაქტიკული მხატვრული აქტივობის განვითარებით. სასწავლებელში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, სავიოლინო,			

	ვოკალური, საესტრადო, საგუნდო, საორკესტრო, ქართული ხალხური საკრავების, კლასიკური ბალეტის განყოფილებები, ქართული, თანამედროვე ცეკვებისა და მეტყველების კულტურის შემსწავლელი წრეები. სასწავლებელში ირიცხება საშუალოდ 340 მოზარდი (გოგო - 236, ბიჭი - 104). სახელოვნებო სასწავლებელი ამზადებს კადრებს ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში (კონსერვატორიაში) სწავლის გასაგრძელებლად.
მოსალოდნელი შედეგი	განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 01 03		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			580.0	1 900.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამა ემსახურება ქალაქში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, მოსწავლეთა ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, ეკოლოგიური, მხატვრული და ესთეტიკური კუთხით განვითარებას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და სწავლებას, ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენასა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა თეატრების, საერთო-შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, საგნობრივი წრეების შექმნას, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას. მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრში ირიცხება საშუალოდ 600 მოზარდი (გოგო - 336, ბიჭი - 264).			
მოსალოდნელი შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; ხელოვნების სასურველი მიმართულებებით სწავლება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა. მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფოლკლორის ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 01 04		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			650.0	2 180.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ემსახურება ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრის (სიმღერის, ცეკვის, ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მოყვარულთა თეატრების) ნიმუშების მოძიებას, გამოვლენას, თავმოყრას, შენარჩუნება-განვითარებას და მათი შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობას. ქართული ხალხური			

	სიმღერის შემსრულებლებსა და ლოტბარებთან, მოცეკვავეებსა და ქორეოგრაფებთან, ხალხურ მთქმელებთან, ხალხური რეწვის ოსტატებთან, თეატრალებთან მჭიდრო კონტაქტი, კონსულტაციები და მათი რეპერტუარის დახვეწა-გამდიდრება, ყოფიდან გამქრალი ხალხური სიმღერების, სიმღერის ტექსტების, ცეკვების, ზეპირსირტყვიერების ჟანრების, ხალხური რეწვის დარგების აღდგენა-გამომზეურება, ცენტრის არქივის შევსება და გამდიდრება (მის ბაზაზე ფოკლორის მუზეუმის გახსნა), ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრში“ არსებული კოლექტივების ხელშეწყობა, მათ ბაზაზე შიდა საქალაქო, რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების მოწყობა და მონაწილეობის მიღება. ფოლკლორის ცენტრში ირიცხება საშუალოდ 230 მოზარდი (გოგო - 146, ბიჭი - 84).
მოსალოდნელი შედეგი	ქართული ტრადიციული კულტურის შენარჩუნება, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია. მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღმავლობა, მათი ჩართულობა და დაინტერესების ზრდა. შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგამოფენო დარბაზის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 01 05		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			230.0	762.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგამოფენო დარბაზი წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ეწევა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ფართო პროპაგანდას, ხელს უწყობს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, მოსახლეობის ესთეტიკურ აღზრდას, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილოებული მოსწავლეების აღმოჩენას. ქვეპროგრამის მიზანია ღონისძიებების ორგანიზება, მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად და მხატვართა ხელშესაწყობად. მნიშვნელოვანია, რომ საგამოფენო დარბაზი თანამშრომლობს საჯარო თუ კერძო სკოლებთან და ხშირად მასპინძლობს მოსწავლეებს, გამოფენებსა თუ ღია გაკვეთილებს, სთავაზობს მათ სხვადასხვა კონკურსს. საგამოფენო სივრცეში, საგანმანათლებლო საქმიანობის გააქტიურების და საგამოფენო სივრცის შემეცნებითი როლის გაზრდის მიზნით, საგამოფენო დარბაზი სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს (ასაკის შესაბამისად) შესთავაზებს საგანმანათლებლო პროგრამებს, შემოქმედებით და შემეცნებით აქტივობებს. გარდა ამისა, ფოთელი მხატვრები ჩაატარებენ მასტერკლასებს ფერწერასა და გრაფიკაში, სისტემატურად ჩატარდება ლექციები ხელოვნებაზე, რომელსაც საგამოფენო დარბაზის თანამშრომლები გაუძღვებიან. დარბაზის ეფექტურად მუშაობისათვის, ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია ინკლუზიური გარემოს შექმნა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა სტანდარტის დაცვით და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის შემოქმედებითი აქტივობების დაგეგმვა. ცხადია, ამ ყველაფერთან ერთად, საგამოფენო			

	დარბაზის პრიორიტეტია ხელი შეუწყოს მხატვრებს შემოქმედებით საქმიანობაში, გააცნოს მათი შემოქმედება მოსახლეობას, მოაწყოს როგორც პერსონალური და ერთობლივი, ისე გასვლითი გამოფენები, პლენერები, დაბეჭდოს კატალოგები, რომელთა შემენა შესაძლებელი იქნება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზის სალონში.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში; ნიჭიერი შემოქმედი ადამიანების გამოვლენა, წარმოჩენა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 01 06		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			345.5	1 218.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის არსია საბიბლიოთეკო ფონდის ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საკლუბო და სალონური მუშაობის გაზრდა, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის კომპიუტერული ქსელისა და ქსელური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, ახალგაზრდებისათვის თავისუფალი სივრცეების შექმნა და სხვადასხვა კულტურულ--საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება.			
მოსალოდნელი შედეგი	ბიბლიოთეკების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. გაზრდილი ბეჭვდითი და ელექტრონული ფონდი. ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. მოსახლეობის აქტიური ჩართვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 01 07		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			25.0	75.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი; სსიპ „ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ტრადიციად ჩამოყალიბდა ქალაქ ფოთში რეგიონალური თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება. ზემოაღნიშნული ფესტივალის ჩატარება მნიშვნელოვანია ქალაქ ფოთის კულტურული და ტურიზმის განვითარების კუთხით, რადგან ფესტივალში მონაწილეობენ, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან მოწვეული თეატრალური კოლექტივები.			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში, სხვადასხვა ქვეყნების კულტურის გაცნობა, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი		დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 02	კულტურული ღონისძიებები	2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			336.0	1 200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურული პროექტების მთავარი მიზანია: კულტურულ და სახელოვნებო დაწესებულებებში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სამოქმედო სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილების განხორციელება, საზოგადოებაში კულტურული ღირებულებების, ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, ჩართულობის გაზრდა სამოქალაქო აქტივობებში, სხვადასხვა სახელოვნებო კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში ნიჭიერ ფოთელთა ჩართვა, ასაკის შეუზღუდავად, წარმატებულ ხელოვანთა წახალისება (ჯილდო). სახელოვნებო დაწესებულებებში პედაგოგთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა, ქალაქში მცხოვრებ შშმ პირთა და ეროვნულ უმცირესობათა სხვადახვა უნარების წარმოჩენა და სტიმულირება, შემოქმედებითი ეკონომიკის სტიმულირება, კულტურის სფეროში მოქმედი სამეწარმეო და შემოქმედებითი მიმართულებების ბიზნეს უნარების განვითარება/ორიენტირი კულტურის სფეროს კომერციალიზაციისკენ. ქალაქში მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის გაციფრულება, კატალოგების შექმნა/განვითარება; ქართული ტრადიციული რეწვის განვითარებისა და საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაციის ხელშეწყობა (მაგ: ოსტატთა გამოვლენა და ერთიანი საჯარო საინფორმაციო ელექტრონული ბაზის შექმნა, რეწვის სახელოსნოების განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურული და ტექნიკური აღჭურვის ხელშეწყობა, გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვა). ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების, სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებული პირების მატერიალური წახალისება (ჯილდო), საპატიო მოქალაქეთა დაჯილდოება. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პირების მატერიალურ წახალისებაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა საქართველოს მასშტაბით.			
მოსალოდნელი შედეგი	მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული			

	მემკვიდრეობის შენარჩუნება; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა.

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 03		2024 წელი	2025-2027 წ.წ.
			70.0	210.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი; ფოთისა და ხობის ეპარქია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის, ფოთისა და ხობის ეპარქიის (ქალაქ ფოთში მდებარე რეზიდენციის) კომუნალური ხარჯების და საჭიროებისამებრ, გარკვეული სამუშაოების დაფინანსება.			
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მოსახლეობის სულიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა.			

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს შეჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6 527,3	6 766,8	6 866,8	6 966,8
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	257,2	257,2	257,2	257,2
06 02	ჯანდაცვის სხვა პროგრამები	1 407,5	1 520,0	1 520,0	1 520,0
06 02 01	სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა	600,0	650,0	650,0	650,0

06 02 02	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	120,0	130,0	130,0	130,0
06 02 04	სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევა	40,0	40,0	40,0	40,0
06 02 05	შშმ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის დაფინანსება	600,0	650,0	650,0	650,0
06 02 06	ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულ პირთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა	13,5	15,0	15,0	15,0
06 02 07	კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	4,0	5,0	5,0	5,0
06 02 10	საქმიანობათა ცენტრი ფოთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	30,0	30,0	30,0	30,0
06 04	სოციალური დაცვა	1 162,6	1 189,6	1 189,6	1 189,6
06 04 01	სარიტუალო მომსახურება	35,0	35,0	35,0	35,0
06 04 02	მარტოხელა მშობელთა დახმარება	80,0	80,0	80,0	80,0
06 04 03	ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა	178,0	200,0	200,0	200,0
06 04 04	განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა	55,0	55,0	55,0	55,0
06 04 05	2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარება	25,6	25,6	25,6	25,6
06 04 06	მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის შშმ პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარება	6,6	6,6	6,6	6,6
06 04 08	უსინათლოებისა და სმენადაქვეითებულთა მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად	58,0	58,0	58,0	58,0
06 04 09	უსინათლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენა	3,0	3,0	3,0	3,0
06 04 10	შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად	13,0	13,0	13,0	13,0
06 04 11	სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერა	20,0	25,0	25,0	25,0
06 04 12	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები	3,6	3,6	3,6	3,6
06 04 14	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	30,0	30,0	30,0	30,0
06 04 16	მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება	250,0	250,0	250,0	250,0
06 04 17	ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება	40,0	40,0	40,0	40,0
06 04 18	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები	90,0	90,0	90,0	90,0
06 04 19	განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება	30,0	30,0	30,0	30,0
06 04 20	მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მარტოდ მცხოვრები (მარტოხელა), სოციალურად დაუცველი, პენსიონერი მოქალაქეებისათვის გაზიფიცირების ხელშეწყობის პროგრამა	3,0	3,0	3,0	3,0

06 04 21	ბენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა	15,0	15,0	15,0	15,0
06 04 22	თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა	180,0	180,0	180,0	180,0
06 04 26	ჟანგბადდამოკიდებული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება ჟანგბადით უზრუნველყოფის მიზნით	10,0	10,0	10,0	10,0
06 04 27	საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ფინანსური დახმარება	10,0	10,0	10,0	10,0
06 04 28	დიაბეტით დაავადებულ (18 წლამდე) ბავშვთა მატერიალური დახმარების პროგრამა	16,8	16,8	16,8	16,8
06 04 30	სოციალურად დაუცველი და საჭიროების მქონე მოსწავლეების სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა	10,0	10,0	10,0	10,0
06 07	სოციალური მომსახურების ცენტრის ხელშეწყობა	1 700,0	1 800,0	1 900,0	2 000,0
06 08	ფოთის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირება	2 000,0	2 000,0	2 000,0	2 000,0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 01		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			257.2	771.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება, არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკ ფაქტორების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და			

	კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიული ფუნქციებია: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს; ეპიდ.სიტუაციის შეფასება; სწრაფი რეაგირებისათვის რადიკალური ინფექციის შემოტანის შემზღუდავი ღონისძიებების დასახვა; პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციების ინფორმირება არსებულ სიტუაციაზე და მათი ჩართულობა მოსახლეობის ხარისხიან სამედიცინო მომსახურეობაში; კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა; მოსახლეობის ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ვირუსულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის გაძლიერება და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3- ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	გენდერული	არა
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის სხვა პროგრამები	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			1407.5	4 560.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“			

	შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ჯანდაცვის სხვა პროგრამები ითვალისწინებს გენდერულად მგრძნობიარე ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელებას და ჯანდაცვის პროგრამის დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცებისათვის ორიენტირებული ჯანდაცვის პროგრამები. ჯანდაცვის სხვა პროგრამები მოიცავს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის, სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ–ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ–ქიმიური გამოკვლევის, შშმ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის დაფინანსების, ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების და საქმიანობათა ცენტრი ფოთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის პროგრამებს.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3- ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	გენდერული	დიახ
მოსალოდნელი შედეგი	ჯანდაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 02 01		600.0	1 950.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ქვეპროგრამა ითვალისწინებს:** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების, რომელთა შემოსავალი საანგარიშო წლის განმავლობაში არ აღემატება 18 000 ლარს, 0-18 წლამდე ასაკის პირების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 120 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, ონკოლოგიური დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე, ლეიკემია) მქონე მოქალაქეების, ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების, ძვირადღირებული ოპერაციების და ძვირადღირებული გამოკვლევების იმ კომპონენტის თანადაფინანსებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ან კერძო დაზღვევით. **განცხადების წარდგენა:** დახმარების მიღების მიზნით, მოქალაქემ განცხადებით უნდა			

	მიმართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: ა) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა №IV-100/ა - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; ბ) სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (წინასწარი კალკულაცია) გასაწევ სამედიცინო მომსახურებაზე; გ) დასაფინანსებელ მომსახურებაზე სახელმწიფო პროგრამების ან/და კერძო დაზღვევის ფარგლებში გაცემული მიმართვის/დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (თუ მოქალაქის სარეიტინგო ქულა 120 000-ს არ აღემატება); ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; ვ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით); ზ) მოქალაქესა და სამედიცინო დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულება და /ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მოქალაქის დავალიანება სამედიცინო დაწესებულების წინაშე (აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც განმცხადებელს მერიაში მომართვამდე არაუმეტეს 1 თვემდე, უკვე გაეწია სამედიცინო მომსახურება); თ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ბენეფიციარის შემოსავლების შესახებ, ან ცნობა სამუშაო ადგილიდან ხელფასის შესახებ. **გადაწყვეტილების მიღება და დახმარების გაცემის წესი:** მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურთან არსებული „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (პროგრამული კოდი 06 02) პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებების გაცემის მიზნით“ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ კვირაში ერთხელ, ოთხშაბათ დღეს (უქმე დღის შემთხვევაში მომდევნო დღეს), გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, კვირის ნებისმიერ სხვა სამუშაო დღეს. განხილვისას გათვალისწინებული იქნება დაავადების სირთულე და ქრონიკულობა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის (უბნების მიხედვით) მიერ შედგენილი დოკუმენტი/დასკვნა (თანდართული გამოკითხვის აქტით) ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ (თუ ოჯახი არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში), გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (წინასწარი კალკულაცია) მითითებული სრული თანხა, საანგარიშო პერიოდში შემოსულ განცხადებათა რაოდენობა და დამტკიცებული ლიმიტი. საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის (უბნის მიხედვით) მიერ გამოთხოვილ იქნეს ცნობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ შემოსავლების სამსახურიდან, ბენეფიციარის შემოსავლების შესახებ.

	აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, მოქალაქეს საბიუჯეტო წლის განმავლობაში დახმარება შეიძლება გაეწიოს ერთხელ, ხოლო ონკოლოგიური დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე, ლეიკემია) მქონე მოქალაქეებს, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და/ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს - ორჯერ. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე, ინდივიდუალურად თითოეულ მოქალაქეს და სამედიცინო დაწესებულებას წარედგინება მერიის წერილობითი თანხმობა დაფინანსების შესახებ, სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (წინასწარი კალკულაცია) მიხედვით. დაფინანსების შესახებ გაცემული წერილობითი თანხმობა ძალაშია გადაწყვეტილების მიღების დღიდან არაუმეტეს ორი თვის განმავლობაში. **ქვეპროგრამის ფარგლებში პირი არ დაფინანსდება, თუ:** ა) იგი არ არის რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში; ბ) განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ პირს წლის განმავლობაში ერთხელ უკვე დაუფინანსდა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება (გამონაკლისს წარმოადგენს ონკოლოგიური დაავადების მქონე მოქალაქეები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და/ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები); გ) მომსახურების გამწევ ორგანიზაციას აუნაზღაურდა მომსახურების ხარჯი პაციენტის მიერ; დ) განცხადების შესწავლისას ან წერილობითი ინფორმაციის გაცემამდე, ცნობილი გახდება დაინტერესებული პირის გარდაცვალების შესახებ; ე) მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი საანგარიშო წლის განმავლობაში აღემატება 18 000 ლარს. **ქვეპროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება შემდეგი სამედიცინო მომსახურებები:** ა) სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მკურნალობა; ბ) ესთეტიკური ქირურგია და პლასტიკური ან კოსმეტიკური მიზნით ქირურგიული მკურნალობა; გ) სტომატოლოგიური მომსახურება და დენტალური იმპლანტაცია; დ) სამედიცინო დანიშნულების ინვენტარის შეძენა (იმპლანტი, სუპინატორები და ორთოპედიული ფეხსაცმელი, პროთეზი, სამედიცინო აპარატურა და მისთვის განკუთვნილი სახარჯი მასალები); ე) საექსპერტო მომსახურება. **დაფინანსების ოდენობა:** აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოქალაქეებს, მკურნალობის ღირებულება დაუფინანსდებათ გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (წინასწარი კალკულაცია) წარმოდგენილი თანხის 70%-მდე, არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა, ხოლო მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და/ან სოციალურად

	დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს 100%-მდე არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა. იმ შემთხვევაში თუ გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯი არ აღემატება 300 (სამასი) ლარს, დაფინანსება განხორციელდება 100%-მდე. თანხები გამოიყოფა სამუშაო ჯგუფის შესაბამისი გადაწყვეტილების და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. **ანგარიშსწორების წესი:** ანგარიშსწორების მიზნით, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელი დაწესებულების მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში. სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელმა დაწესებულებამ, გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევიდან 2 (ორი) თვის ვადაში. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები: 1. გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. ფორმა N100/ა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სამედიცინო დაწესებულების მიერ მომსახურების გაცემის ფაქტს; 3. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
მოსალოდნელი შედეგი	ჯანდაცვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 02		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			120.0	390.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის სიდუხჭირის და მსოფლიო ბაზარზე მედიკამენტებზე გაზრდილი ფასების გამო, სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამასთან ერთად, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია მატერიალურ დახმარებას უწევს სხვადასხვა მწვავე თუ ქრონიკული დაავადებების მქონე ადგილობრივ მოსახლეობას, იმ სახის მედიკამენტების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პენსიონრების და 0-18 წლამდე ბავშვების (სარეიტინგო ქულა არაუმეტეს 70 000), მარტოხელა პენსიონრების, მკვეთრად			

	გამოხატული შშმ პირების, ავთვისებიანი სიმსივნითა და ლეიკემიით დაავადებული პირების, ეპილეფსიით დაავადებული პირების ანტიკონვულსანტებით, კორონა ვირუსით (COVID-19) დაინფიცირებული პირების მედიკამენტებით უზრუნველყოფას. **ქვეპროგრამის მართვა:** მოქალაქემ დახმარების მისაღებად უნდა მიმართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N 100/ა, პირადობის მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით); აფთიაქიდან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურა ან/და მედიკამენტის ღირებულების შესახებ ამონაწერი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი (თუ სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს). მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურთან არსებული „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (პროგრამული კოდი 06 02) პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებების გაცემის მიზნით“ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ კვირაში ერთხელ, ოთხშაბათ დღეს (უქმე დღის შემთხვევაში მომდევნო დღეს), გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, კვირის ნებისმიერ სხვა სამუშაო დღეს. განცხადებების განხილვისას გათვალისწინებული იქნება დაავადების სირთულე და ქრონიკულობა, ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (რაც დასტურდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის (უბნების მიხედვით) მიერ შედგენილი დოკუმენტით/დასკვნით (თანდართული გამოკითხვის აქტით)), ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული სრული თანხა, საანგარიშო პერიოდში შემოსულ განცხადებათა რაოდენობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული თითოეული მედიკამენტური დახმარებით, ბენეფიციარებს, საბიუჯეტო წლის განმავლობაში მედიკამენტის სახით, დახმარება შეიძლება გაეწიოთ: ა) სოციალურად დაუცველ პენსიონრებს და 0-18 წლამდე ბავშვებს (სარეიტინგო ქულა არაუმეტეს 70 000), მარტოხელა პენსიონრებს, მკვეთრად გამოხატულ შშმ პირებს 100 (ასი) ლარამდე, წელიწადში ერთჯერ; ბ) ავთვისებიანი სიმსივნითა და ლეიკემიით დაავადებულ პირებს 1000 (ერთი ათასი) ლარამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, წელიწადში ორჯერ; გ) ეპილეფსიით დაავადებულ პირებს 150 (ასორმოცდაათი) ლარამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, წელიწადში ერთჯერ; დ) კორონა ვირუსით (COVID-19) დაინფიცირებულ პირებს, სტაციონარული მკურნალობის დასრულებიდან 2 თვის განმავლობაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე 100 (ასი) ლარამდე წელიწადში ერთჯერ; მოქალაქემ, ზემოაღნიშნული თითოეული ქვეპროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების დახმარებით შეუძლია

	ისარგებლოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერ. თანხები გამოიყოფა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების (ბრძანება გამოიცემა სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე გასაწევ ან/და გაწეულ ხარჯებზე) საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის გაწეული დახმარებები, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 04		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			40.0	120.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასმელი, სარეკრიაციო და საბანაო წყლის ხარისხის სისტემატიური ლაბორატორიული კვლევა, ინფექციური დაავადებებისა და ეპიდაფეთქებების თავიდან აცილების მიზნით.			
მოსალოდნელი შედეგი	ინფექციური დაავადებების და ეპიდაფეთქებების პრევენცია.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 05		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			600.0	1 950.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პიროვნების შესაძლებლობების შეზღუდვა ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, რაც თავის მხრივ მძიმე ტვირთს წარმოადგენს არა მხოლოდ ამ პირებისთვის, არამედ მათი ოჯახებისთვისაც. შშმ პირების (ბავშვების) საზოგადოებაში ინტეგრაციის გაუმჯობესების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს მათი ფსიქოსომატური აბილიტაცია-რეაბილიტაცია. აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირების, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მათ შორის აუტიზმის, გონებრივი და/ან მეტყველების განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე პირთა ფსიქოსომატური აბილიტაცია-რეაბილიტაციის დაფინანსებას. **განცხადების წარდგენა:** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული,			

	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა ახლდეს: ა) პროგრამით მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა), მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი. ბ) კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დ) ფორმა №100/ა და ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (წინასწარი კალკულაცია) გასაწევ სამედიცინო მომსახურებაზე საქართველოში განთავსებული შესაბამისი სამედიცინო-სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან. ე) აუტიზმის მქონე ბავშვის დაფინანსების შემთხვევაში, საინფორმაციო/რეგისტრაციის ბარათი ბენეფიციარის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ, იუსტიციის სახლიდან/სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან. ვ) ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს „ADOS-2" ტესტირების სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგის საფუძველზე. **გადაწყვეტილების მიღება, დახმარების გაცემის წესი:** ა) აუტიზმის მქონე ბავშვებს (ICD-10 განსაზღვრული კლასიფიკატორები F84.0, F84.1, F84.5, F84.9) წელიწადში ერთჯერ - არაუმეტეს 3600 (სამიათას ექვსასი) ლარით. აუტიზმის მქონე 18 წლამდე ბავშვი რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ბოლო 1 წლის მანძილზე, რაც დასტურდება საინფორმაციო/რეგისტრაციის ბარათით იუსტიციის სახლიდან/სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან. ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის გონებრივი ან მეტყველების განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვებს წელიწადში ერთჯერ, არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარით. მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურთან არსებული ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (პროგრამული კოდი 06 02) პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებების გაცემის მიზნით" შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ კვირაში ერთხელ ოთხშაბათ დღეს (უქმე დღის შემთხვევაში მომდევნო დღეს), გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, კვირის ნებისმიერ სხვა სამუშაო დღეს. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე, ინდივიდუალურად თითოეულ მოქალაქეს და სამედიცინო დაწესებულებას წარედგინება მერიის წერილობითი თანხმობა დაფინანსების შესახებ, სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (წინასწარი კალკულაცია) მიხედვით. დაფინანსების შესახებ გაცემული წერილობითი თანხმობა ძალაშია გადაწყვეტილების მიღების დღიდან საბიუჯეტო

	წლის განმავლობაში. **ანგარიშსწორების წესი:** ანგარიშსწორების მიზნით, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელი დაწესებულების მიერ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში, გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში. სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელმა დაწესებულებამ გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას, უნდა წარუდგინოს საბიუჯეტო წლის ბოლომდე. სამედიცინო დაწესებულებას შეუძლია გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოითხოვოს ნაწილ-ნაწილ საბიუჯეტო წლის ბოლომდე, გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები: 1. გაწეული სამედიცინო - სარეაბილიტაციო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. ფორმა N100/ა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სამედიცინო დაწესებულების მიერ მომსახურების გაცემის ფაქტს; 3. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. თანხები გამოიყოფა შესაბამისი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. ქვეპროგრამის განხორციელებაზე კონტროლი ევალება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას.
მოსალოდნელი შედეგი	შშმ ბავშვთა ინტეგრაცია საზოგადოებაში.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულ პირთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 06		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			13.5	45.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ფენილკეტონურია და ცელიაკია გენეტიკური დაავადებებია. ფენილკეტონურია ღრმა გონებრივ ჩამორჩენას, ხოლო ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდაერთი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ფენილკეტონურიით და/ან ცელიაკიით დაავადებულ პირთა დაფინანსებას კვებითი დანამატების შესაძენად, წელიწადში ერთჯერ არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი)			

	ლარით. **პროგრამის მართვა:** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით/ცელიაკიით დაავადებული პირი ან მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა ახლდეს პროგრამით მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა), მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ფორმა №100/ა და ანგარიშ–ფაქტურა საქართველოში განთავსებული შესაბამისი დაწესებულებიდან. დაფინანსებაზე გადაწყვეტილება მიიღება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების (სხდომის ოქმის) საფუძველზე. სამუშაო ჯგუფი მოქალაქეთა განცხადებებს განიხილავს კვირაში ერთხელ ოთხშაბათ დღეს (უქმე დღის შემთხვევაში მომდევნო დღეს), გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე კვირის ნებისმიერ სხვა სამუშაო დღეს.
მოსალოდნელი შედეგი	შშმ ბავშვებისთვის გაწეული დახმარებები, ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულ პირთა გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათი ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 07		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			4.0	15.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ძვირადღირებული კოხლეარული იმპლანტაციის დაფინანსებას სმენაჩლუნგობის (სმენის დაქვეითების მძიმე ფორმა) დაძლევის მიზნით, თუმცა იმპლანტი მუდმივად საჭიროებს ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნებას, რაც დაკავშირებულია მატერიალურ ხარჯებთან და მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს ოჯახებისთვის. აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალიწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარებას, აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა) კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის შეძენას; ბ) პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შეძენას. **პროგრამის მართვა:** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, კოხლეარული			

	იმპლანტით მოსარგებლე პირი, ან არასრულწლოვანი პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა ახლდეს პროგრამით მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა), მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ფორმა №100/ა და ანგარიშ–ფაქტურა. კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი განისაზღვრულია 700 (შვიდასი) ლარით; პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი განისაზღვრულია 300 (სამასი) ლარით; დაფინანსებაზე გადაწყვეტილება მიიღება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, სამუშაო ჯგუფის დასკვნის (სხდომის ოქმის) საფუძველზე. სამუშაო ჯგუფი მოქალაქეთა განცხადებებს განიხილავს კვირაში ერთხელ ოთხშაბათ დღეს (უქმე დღის შემთხვევაში მომდევნო დღეს), გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე კვირის ნებისმიერ სხვა სამუშაო დღეს.
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირთათვის გაწეული დახმარებები, შშმ პირთა ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა, სმენადაქვეითებული პირების საზოგადოებაში ინტეგრირება სხვების თანასწორად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საქმიანობათა ცენტრი ფოთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 10		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			30.0	90.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია: ზრუნვა მოსახლეობის დაუცველი ფენის ჯანმრთელობაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა; კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების ეფექტური მეთოდების შემუშავება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქმიანობათა ცენტრის ფუნქციონირება. ქვეპროგრამის პრიორიტეტებს წარმოადგენს: კატასტროფის მართვა (რისკის შემცირება, მზადება, რეაგირება), ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალური მხარდაჭერა, ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება. ძირითად (პირდაპირ) სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ: 1. ახალგაზრდები, სასკოლო და სკოლამდელი ასაკის მქონე პირები; 2. 60-65 წელს ზემოთ, ოჯახურ მხარდაჭერას მოკლებული ხანდაზმულები, რომლებიც იღებენ სახელმწიფო პენსიასა და შემწეობას; 3. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფები; 4. შერჩეული თემის ლიდერები და წევრები.			
მოსალოდნელი შედეგი	უსაფრთხო თემების ჩამოყალიბება/განვითარება კატასტროფებისათვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოციალური მხარდაჭერა, ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის			

	განვითარება.

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დაუძლურებული და ლოგინს მიჯაჭვული ბენეფიციარებისათვის სოციალური და სამედიცინო სერვისების მიწოდებას ადგილზე და სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			1 162.6	3 568.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის -ფოთის ბავშვთა ცენტრი"; ა(ა)იპ „კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის“; ა(ა)იპ „ფოთი ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდი“.			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, გენდერულად მგრძნობიარე სოციალური პოლიტიკის განხორციელებას და სოციალური პროგრამის დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცებისთვის სხვადასხვა სოციალური სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, დიალიზზე მყოფი პირების (პაციენტების) სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევას, საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი ცენტრის სასწრაფო და რეფერალური ბრიგადების მიერ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ახალშობილთა ოჯახების დახმარებას, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.			

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა მიზანი 3- ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	გენდერული	დიახ
მოსალოდნელი შედეგი	გენდერულად მგრძნობიარე სოციალური პოლიტიკა, მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა და საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარიტუალო მომსახურება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 01		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			35.0	105.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით ხორციელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (100 000-მდე ქულის მქონე) მოქალაქეების გარდაცვალების შემთხვევაში, მათი ოჯახებისათვის მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება 300 ლარით. ასევე, დამატებით, მიზნობრივი ტრანსფერიდან დიდი სამამულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა გარდაცვალების შემთხვევაში მათი ოჯახები დაფინანსდება 300 ლარით. **პროგრამის მართვა:** აღნიშნული პროგრამით დახმარების მისაღებად გარდაცვლილის ოჯახის წევრმა უნდა მიმართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით, რომელსაც უნდა დაერთოს: 1) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; 2) გარდაცვალების მოწმობის ასლი ან გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა ან/და გარდაცვალების ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი; 3) გარდაცვლილის პირადობის მოწმობის ასლი; 4) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან; 5) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით); 6) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა; 7) ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი; 8) საბანკო ანგარიშის ნომერი. ბიუჯეტიდან გამოყოფილი მატერიალური დახმარება, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრულ პირებს დაერიცხებათ საბანკო ანგარშზე. 9) შსს მიერ გაცემული ცნობა, არაიდენტიფიცირებული ან უპატრონო გარდაცვლილის შესახებ.			

	უპატრონო და არაიდენტიფიცირებული მიცვალებულის შემთხვევაში, დაკრძალვის ორგანიზებას და ჩასასვენებელი სასახლის (კუბოს) შესყიდვისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში ახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები (უბნების მიხედვით).
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა გარდაცვლილთა ოჯახებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მარტოხელა მშობელთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 02		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			80.0	240.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო, მარტოხელა მშობელთა უმრავლესობა უმუშევარია, მათ მძიმე ტვირთად აწევთ მცირეწლოვანი შვილების მოვლა-პატრონობა. იზრდება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა რაოდენობა, ამიტომ მიზანშეწონილია გაეწიოს ყოველთვიური მატერიალური დახმარება მარტოხელა მშობლებს 50 ლარის ოდენობით, მოზარდის 18 წლის ასაკის შესრულებამდე. **პროგრამის მართვა:** მატერიალური დახმარების მისაღებად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა მარტოხელა მშობელმა უნდა წარადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს: 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; 3) ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ მარტოხელა მშობელი უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში. 4) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით). 5) საბანკო ანგარიშის ნომერი. ბიუჯეტიდან გამოყოფილი მატერიალური დახმარება, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, მარტოხელა მშობლებს ან/და მათ მიერ განსაზღვრულ პირებს დაერიცხებათ საბანკო ანგარიშზე. საბუთების განახლება მოხდება ყოველწლიურად.			
მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა მშობელთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 03		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			178.0	600.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის -ფოთის ბავშვთა ცენტრი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მოიცავს ეკონომიურად უკიდურესად შეჭირვებულ, უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ფიზიკური გაჯანსაღებისა და უფასო კვებით მომსახურებას. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ამბულატორიული მკურნალობისათვის, მედიკამენტებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამა ეყრდნობა ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციას ბავშვის გადარჩენის დაცვისა და განვითარების უზრუნველყოფის საყოველთაო დეკლარაციას და შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებთან და სალიცენზიო პირობებთან. ქვეპროგრამა მიზნად ისახავს უკიდურესად შეჭირვებულ, უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვთა განვითარებისათვის ხელშეწყობას, მათთვის ოჯახური გარემოს შექმნას, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად, 24 საათიან მომსახურებას. ქვეპროგრამის დაფინანსება მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, ბავშვთა ოთხჯერად კვებას, კომუნალურ ხარჯებს, ბაშვებისთვის საჭირო ტანსაცმლისა და მედიკამენტების შეძენის ხარჯებს (საჭიროების შემთხვევაში), პირადი ჰიგიენისა და სასკოლო ნივთების შეძენას, ბავშზე ზრუნვის სტანდარტებისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად, ბავშვთა საკურორტო ზონაში დასვენების ხარჯებს. ქვეპროგრამა, ლიცენზიის შესაბამისად, გათვლილია 10 ბავშვზე.
მოსალოდნელი შედეგი	მზრუნველობამოკლებულ, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, მათი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება, მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. სამომავლოდ, თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მზადყოფნა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 04		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			55.0	165.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	„განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა“ მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: **ა) დიალიზზე მყოფი პირების (პაციენტების) სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა.** დიალიზზე მყოფი პირებს (პაციენტებს) სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარება გაეწევათ თვეში 150 ლარის ოდენობით; პაციენტი ან/და ოჯახის წევრი განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით). 3) მკურნალი ექიმის მიერ შევსებული ფორმა №100 ავადმყოფის დიაგნოზის მითითებით.			

	4) საბანკო ანგარიშის ნომერი. შემოსული დოკუმენტაცია მოწმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურში. ყოველი თვის დასაწყისში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გადამოწმდება დიალიზზე მყოფი ბენეფიციარები სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში. საბუთების განახლება მოხდება ყოველწლიურად. ბიუჯეტიდან გამოყოფილი მატერიალური დახმარება, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრულ პირებს დაერიცხებათ საბანკო ანგარიშზე, იმის გათვალისწინებით, რომ ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში. **ბ) საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი ცენტრის სასწრაფო და რეფერალური ბრიგადების მიერ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირების დაფინასება.** საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი ცენტრის სასწრაფო და რეფერალური ბრიგადების მიერ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირების შემთხვევაში დაფინანსდება პაციენტთა გადაყვანა: ა) ფოთი - თბილისი ან თბილისი - ფოთი – 900 ლარით; ბ) ფოთი - ქუთაისი ან ქუთაისი - ფოთი – 350 ლარით; გ) ფოთი - ბათუმი ან ბათუმი - ფოთი – 250 ლარით; დ) ფოთი - ზუგდიდი ან ზუგდიდი - ფოთი – 200 ლარით. დახმარება გაიწევა წელიწადში ერთხელ. განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით). 3) მკურნალი ექიმის მიერ შევსებული ფორმა №100 ავადმყოფის (პაციენტის) სასწრაფო დახმარების ავტომობილით გადაყვანის საჭიროების მითითებით. 4) საბანკო ანგარიშის ნომერი. შემოსული დოკუმენტაცია მოწმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურში. ბიუჯეტიდან გამოყოფილი მატერიალური დახმარება, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრულ პირებს დაერიცხებათ საბანკო ანგარიშზე, იმის გათვალისწინებით, რომ ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 04 05		25.6	76.8

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მიზნად ისახავს, 2008 წლის აგვისტოს თვეში, რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქეების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას, მათი ხსოვნისადმი პატივის მიგებას, კერძოდ: ა) რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად გარდაცვლილი 11 მოქალაქის ოჯახისათვის - 500 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ; ბ) რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად გარდაცვლილი 4 მშვიდობიანი მოქალაქის ოჯახისთვის, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ - 400 ლარის ოდენობით ყოველთვიურად; გ) რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად დაჭრილ სამოქალაქო პირებზე - 300 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ. **პროგრამის მართვა:** მატერიალური დახმარების მისაღებად, გარდაცვლილი მოქალაქის დედ-მამამ, მეუღლემ, სრულწლოვანმა შვილმა ან მემკვიდრემ უნდა წარადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს: 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) გარდაცვალების მოწმობის ასლი; 3) საბანკო ანგარიშის ნომერი. ბენეფიციარების დაფინანსებაზე ბრძანებას გამოსცემს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი. გამოყოფილი თანხა ბენეფიციარებს დაერიცხებათ პირად საბანკო ანგარიშზე. საბუთების განახლება მოხდება ყოველწლიურად.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამაში მონაწილეთა ოჯახებისათვის მატერიალური და მორალური დახმარების გაწევა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის შშმ პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 04 06		6.6	19.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მიზნად ისახავს: დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას. კერძოდ: ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ბენეფიციარებს, თითოეულს 400 ლარის ოდენობით; ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე ბენეფიციარებს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით; გ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ			

	ბენეფიციარებს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით. **პროგრამის მართვა:** მატერიალური დახმარების მისაღებად დიდი სამამულო ომის მონაწილეებმა და ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეებმა უნდა წარადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს: ა) პირადობის მოწმობის ასლი; ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა; გ) საბანკო ანგარიშის ნომერი. ბენეფიციარების დაფინანსებაზე ბრძანებას გამოსცემს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი. გამოყოფილი თანხა ბენეფიციარებს დაერიცხებათ პირად საბანკო ანგარიშზე, იმის გათვალისწინებით, რომ ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში. საბუთების განახლება მოხდება ყოველწლიურად.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამაში მონაწილეთა ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უსინათლოებისა და სმენადაქვეითებულთა მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 04 08		58.0	174.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ა(ა)იპ „ფოთი ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდი“.			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა გულისხმობს: **ა) უსინათლო და სმენადაქვეითებულ პენსიონერთათვის კომუნალური გადასახადების დაფინანსება** **პროგრამის მართვა:** უსინათლო და სმენადაქვეითებული პენსიონერი (შემდგომში ბენეფიციარი) კომუნალურ გადასახადებზე შეღავათების მისაღებად განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; 2) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის განყოფილებიდან, რომ ბენეფიციარი არის უსინათლო პენსიონერი ან სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის (სსე) შემოწმების აქტის ამონაწერი, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა N100; 3) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის განყოფილებიდან, რომ ბენეფიციარი არის უსინათლო და სმენადაქვეითებული; 4) საბანკო ანგარიშის ნომერი. მატერიალური დახმარება შეადგენს: ა) პროგრამაში მონაწილე უსინათლო პენსიონერთათვის, კომუნალურ გადასახადებზე შეღავათი 60 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად; ბ) პროგრამაში მონაწილე სმენადაქვეითებულ ბენეფიციარებზე მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების			

	დასაფინანსებლად 35 ლარის ოდენობით, წელიწადში ოთხჯერ. ბენეფიციარების დაფინანსებაზე ბრძანებას გამოსცემს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე. გამოყოფილი თანხა ბენეფიციარებს დაერიცხებათ პირად საბანკო ანგარიშზე, იმის გათვალისწინებით, რომ ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში. ყოველი თვის დასაწყისში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მოთხოვნილი იქნეს აღნიშნული ბენეფიციარების გადამოწმება სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. საბუთების განახლება მოხდება ყოველწლიურად. **ბ) ა(ა)იპ „ფოთის ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდი“-ს დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად** ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „ფოთის ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდი“-ს დახმარებას კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად. **პროგრამის მართვა:** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „ფოთის ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდს“ შორის იდება ხელშეკრულება პროგრამის განხორციელების ხელშეწყობაზე, კერძოდ: კომუნალური ხარჯების ანაზღაურებაზე, წელიწადში არაუმეტეს 1800 ლარისა. ა(ა)იპ „ფოთის ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდი“ კომუნალური გადასახადების დარიცხვის შემდეგ, წერილობით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და წერილს თან დაურთავს კომუნალური გადასახადების ოდენობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ა(ა)იპ „ფოთის ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდი“-ს კომუნალური ხარჯების დაფინანსება მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უსინთლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 09		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			3.0	9.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს უსინათლო პენსიონერთათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენას. **პროგრამის მართვა:** უსინათლო პენსიონერი (შემდგომში ბენეფიციარი), წნევის გამზომი			

	ხმოვანი აპარატების შესაძენად, განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; 2) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის განყოფილებიდან, რომ ბენეფიციარი არის უსინათლო პენსიონერი; 3) ფორმა №IV-100 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; 4) სააფთიაქო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა. თანხა დაირიცხება სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 10		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			13.0	39.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ა(ა)იპ „კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარებას კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად. **პროგრამის მართვა:** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის“ შორის ფორმდება ხელშეკრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობაზე. კერძოდ, კომუნალური ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურებაზე. ა(ა)იპ „კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის“ კომუნალური გადასახადების დარიცხვის შემდეგ, წერილობით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და წერილს თან დაურთავს კომუნალური გადასახადების ოდენობის დამადასტურებელ დოკუმენტს. შშმ ბავშვთა დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების დაფინანსება მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.			
მოსალოდნელი შედეგი	შშმ ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 11		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			20.0	75.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ქვეპროგრამის მართვა:** ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთიანი ეროვნული გამოცდების			

	შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის მატერიალურ წახალისებას, სწავლის დაფინანსების მიზნით, კერძოდ: სოციალურად დაუცველი სტუდენტისთვის, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, საბიუჯეტო წლის განმავლობაში - 1000 ლარის ოდენობით. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა, მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სწავლის ხარისხის ამაღლება. დახმარების მისაღებად სტუდენტმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: ა) განცხადება მერის სახელზე; ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; გ) აკრედიტებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები; დ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. ე) ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ; ვ) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა დავალიანების შესახებ; ზ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით). **გადაწყვეტილების მიღების წესი:** სოციალურად დაუცველ სტუდენტს დაუფინანსდება სწავლის საფასური (პროგრამით გათვალისწინებული თანხის ოდენობით) აკრედიტებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლის საფასურის დავალიანების არსებობის შესახებ გაცემული ცნობის შესაბამისად. სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტით, თანხა დაირიცხება შესაბამისი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშის ნომერზე.
მოსალოდნელი შედეგი	სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 12		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			3.6	10.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა			

	(მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა) სტატუსის მინიჭების შემდგომ - ერთჯერადად 300 ლარის გაცემას. 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია ,,მერკურს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის მიერ ასოციაცია ,,მერკურის“ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა და ბავშვთა თავშესაფრის სერვისით სარგებლობისშემთხვევაში, განხორციელდება თავშესაფრის სარგებლობის დღიური ხარჯის ანაზღაურება 30 ლარის ოდენობით. **პროგრამის მართვა:** 1. დახმარების მისაღებად მოქალაქემ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: 1) წერილობითი განცხადება; 2) პირადობის მოწმობის ასლი; 3) განცხადებაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები; 4) ასევე, სხვა სახის დოკუმენტაცია განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში; 5) ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. 2. მომსახურების გამწევმა დაწესებულებამ დახმარების მისაღებად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელებს თანხის გადარიცხვას დაწესებულების საბანკო ანგარიშზე. დახმარება გაიცემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის საფუძველზე. მსხვერპლი უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა მატერიალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 14		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			30.0	90.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს ახალშობილთა ოჯახების წახალისებას, რათა ხელი შეუწყოს დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ახალშობილთა ოჯახებისათვის (მათ შორის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დევნილებზე) გათვალისწინებულია ერთჯერადად 100 ლარით დახმარება, იმის გათვალისწინებით, რომ ახალშობილის მშობლები უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში. ქვეპროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება ახალშობილის მშობლის მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული			

	განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით: 1) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები; 2) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით); 3) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; 4) საბანკო ანგარიშის ნომერი. **პროგრამის მართვა:** თანხა განმცხადებელს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და წახალისება. მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 16		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			250.0	750.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მკვიდრ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, იმის გათვალისწინებით, რომ მრავალშვილიანის მშობლები (განქორწინების შემთხვევაში მშობელი) უნდა იყვნენ რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლებიც ზრდიან 3 და მეტ არასრულწლოვან მოზარდს (უფროსი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებამდე), უმცროს შვილზე დაენიშნოს ყოველთვიური მატერიალური დახმარება: 3-შვილიან ოჯახს – 50 ლარი; 4-შვილიან ოჯახს – 100 ლარი; 5-შვილიან ოჯახს – 190 ლარი; 6-შვილიან ოჯახს – 220 ლარი; 7-შვილიან ოჯახს – 300 ლარი; 8 და მეტ-შვილიან ოჯახს – 450 ლარი. ქვეპროგრამის ბენეფიციარია დაახლოებით 350-მდე ოჯახი. მატერიალური დახმარების მისაღებად მრავალშვილიანმა ოჯახმა უნდა წარადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება, შესაბამისი დოკუმენტაციით: 1) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები; 2) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით); 3) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები; 4) საბანკო ანგარიშის ნომერი. 5) განქორწინების მოწმობა (არსებობის შემთხვევაში). **პროგრამის მართვა:** თანხა ყოველთვიურად განმცხადებელს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.			

	საბუთების განახლება მოხდება ყოველწლიურად.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და წახალისება. მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 17		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			40.0	120.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქში დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მკვიდრ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, იმის გათვალისწინებით, რომ მრავალშვილიანის მშობლები უნდა იყვნენ რეგისტრირებული ქალაქ ფოთში, რომელთაც ჰყავთ ხუთი და მეტი შვილი (უფროსი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებამდე), წელიწადში ერთხელ გაეწიოთ მატერიალური დახმარება 2000 ლარის ოდენობით. მატერიალური დახმარების მისაღებად მრავალშვილიანმა ოჯახმა უნდა წარადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება, შესაბამისი დოკუმენტაციით: 1) მშობლების პირადობის მოწმობის ასლი; 2) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები. 3) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით); 4) საბანკო ანგარიშის ნომერი. **პროგრამის მართვა:** თანხა განმცხადებელს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. საბუთების განახლება მოხდება ყოველწლიურად.			
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიან ოჯახთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება, დემოგრაფიული მაჩვენებლის ზრდა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 04 18		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			90.0	270.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს: 1. სადღესასწაულო დღეებში შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარების მატერიალურ წახალისებას: - დედით, მამითა და დედ-მამით ობლები 18 წლამდე ასაკის – 100 ლარი წელიწადში ერთხელ. - ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის ლიკვიდაციაში მონაწილეთათვის (26 აპრილს) – 100 ლარი ერთჯერადად. - ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონრები – 100 ლარი ერთჯერადად. - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები 18 წლამდე ასაკის მოზარდები – 100 ლარი წელიწადში ორჯერ. - დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები 18 წლამდე ასაკის - 500 ლარი წელიწადში ორჯერ. - ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვთათვის, 18 წლამდე ასაკის ბავშვები - 500 ლარი ერთჯერადად. - ქალაქში მცხოვრები უხუცესები: ა) 90-100 წლამდე უხუცესები – 100 ლარი ერთჯერადად; ბ) 100 წლის და 100 წელს გადაცილებული უხუცესები - 500 ლარი ერთჯერადად. **პროგრამის მართვა:** ბენეფიციარის მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს: **- დედით, მამითა და დედ-მამით ობლები:** 1) ობლის (ობლების) დაბადების მოწმობის ასლი; 2) მშობლის (მშობლების) გარდაცვალების მოწმობის ასლი; 3) გადაწყვეტილება მეურვეობა/მზრუნველობის დაწესების შესახებ; 4) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით); 5) საბანკო ანგარიშის ნომერი. **- ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის ლიკვიდაციაში მონაწილეთათვის:** 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) საბანკო ანგარიშის ნომერი; 3) მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. **- ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონრები:** 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) საბანკო ანგარიშის ნომერი; 3) ინფორმაცია ქალაქის წინაშე დამსახურების შესახებ. **- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები 18 წლამდე ასაკის მოზარდები:** 1) მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლები, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში; 2) შშმ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; 3) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; 4) საბანკო ანგარიშის ნომერი. **- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები 18 წლამდე ასაკის:** 1) მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლები, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

	2) შშმ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; 3) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N100; 4) საბანკო ანგარიშის ნომერი. **- ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვთათვის, 18 წლამდე ასაკის ბავშვები:** 1) მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლები, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში; 2) შშმ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; 3) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა №100; 4) საბანკო ანგარიშის ნომერი. **- ქალაქში მცხოვრები უხუცესები:** 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) საბანკო ანგარიშის ნომერი. თანხა განმცხადებელს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე შესაბამისი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში. საბუთების განახლება მოხდება ყოველწლიურად. 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული, სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახებისათვის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით. დახმარების მიმღებ ბენეფიციარებს წარმოადგენს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული ოჯახები, ასევე მრავალშვილიანი, მარტოხელა მშობლები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, დედით, მამითა და დედ-მამით 18 წლამდე ასაკის ობლები, ყრუ-მუნჯები, უსინათლო პირები. ბენეფიციართათვის საკვები პროდუქტების გადაცემა განხორციელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლისა (უბნების მიხედვით) და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სიების მიხედვით.
მოსალოდნელი შედეგი	ობლების, ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონრების, ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის ლიკვიდაციის მონაწილეთათვის, ქალაქში მცხოვრები უხუცესების, შშმ მოზარდების, დაუნის სინდრომის მქონე და ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვთათვის ფინანსური წახალისება. სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული, სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა.

	კოდი		დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
ქვეპროგრამის დასახელება	06 04 19	განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება	30.0	90.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. კერძოდ: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება, კერძოდ: სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე 5000-მდე ლარის ოდენობით; ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში 2000-მდე ლარით. **პროგრამის მართვა:** დახმარების მისაღებად დაზარალებულმა მოქალაქემ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: ა) წერილობითი განცხადება; ბ) პირადობის მოწმობის ასლი; გ) ცნობა (ხანძრის შესახებ) გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ.ფოთის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ; დ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის (უბნების მიხედვით) დასკვნა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ; ე) საბანკო ანგარიშის ნომერი; დახმარება გაიცემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მარტოდ მცხოვრები (მარტოხელა), სოციალურად დაუცველი, პენსიონერი მოქალაქეებისათვის გაზიფიცირების ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 04 20		3.0	9.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მარტოდმცხოვრები (მარტოხელა) პენსიონრების, სოციალურად დაუცველი (არაუმეტეს 70 000 ქულის მქონე) მოქალაქეებისათვის ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, კერძოდ ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების ღირებულების 100%-ის დაფინანსება, ერთი წერტილის გათვალისწინებით. ბენეფიციარი განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:			

	ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; ბ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან; გ) საჯარო რეესტრის ამონაწერი უძრავი ქონების საკუთრების შესახებ; დ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის (უბნების მიხედვით) დასკვნა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, ინდივიდუალურად თითოეულ ბენეფიციარს და ბუნებრივი გაზის მომწოდებელს წარედგინება მერიის წერილობითი თანხმობა დაფინანსების შესახებ. ანგარიშსწორების მიზნით, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 04 21		15.0	45.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია: ქალების ცნობიერების ამაღლება, საჭიროების მქონე ქალთა წახალისება სხვადასხვა ფორმით, მეწარმე ქალთა გაძლიერება, ქალთა ჩართულობის ზრდა და მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორი უფლებებითა და შესაძლებლობებით. **„ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ ხელშეწყობა“** **ქვეპროგრამის მიზანი:** ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გზით გენდერული თანასწორობის წარმატებით მიღწევა, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც შემდგომში განაპირობებს ქალთა ეკონომიკურ/სოციალურ აქტიურობას და ხელს შეუწყობს თანაბარი/თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნას, ქალთა გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. **ქვეპროგრამის მართვა:** „ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების (ქალები) მიერ წარმოდგენილი პროექტების 80%-მდე თანადაფინანსებას. საუკეთესო პროექტი გამოვლინდება კონკურსის საფუძველზე.			

	საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების ჯამური ოდენობა განისაზღვრება 15 000 ლარით. თითოეული გამარჯვებულისათვის თანადაფინანსების მინიმალური ოდენობა შეადგენს 500 ლარს, ხოლო მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 5000 ლარს. თანადაფინანსებად ჩაითვლება მხოლოდ თანხობრივი მონაწილეობა. კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს: ფიზიკური პირ(ებ)ი (ქალი) – ასევე პირ(ებ)ი (ქალი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ინდივიდუალურ მეწარმეებად (სრულწლოვანი -18 წელს მიღწეული), ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქალი ან ქალთა საინიციატივო ჯგუფი. წარმოდგენილი პროექტი უნდა ემსახურებოდეს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. პროექტი არ უნდა ეხებოდეს სპირტისა და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს წარმოების მიმართულებებს, რელიგიურ საკითხებს, ასევე მხოლოდ ინფორმირებას. **საკონკურსო რესურსით არ ფინანსდება შემდეგი ხარჯები:** ა) ხელფასები და მიმდინარე ხარჯები; ბ) უძრავი ქონების შეძენა; გ) სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა; დ) კვლევები; ე) სასწავლო/სამეცნიერო გრანტები; ვ) ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა; ზ) გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები; თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები. წარმოდგენილი პროექტი უნდა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. კონკურსში ჩართვის მიზნით, ბენეფიციარს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენა. მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას, გადაულახავი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მისგან დამოუკიდებელი გარემოების არსებობისას, უარი თქვას პროექტის დაფინანსებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროგრამის მართვის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ, გამარჯვებულმა პროექტმა უნდა გაიაროს კონკურსის I და II ეტაპი. **კონკურსის I ეტაპი:** კონკურსანტის განცხადება განიხილება მოცემული კრიტერიუმების მიხედვით, რომელთაც მიენიჭებათ შესაბამისი ქულების ოდენობა: - პროექტი ახალ ინიციატივებსა და სიახლეებზეა ორიენტირებული – 10 ქულა; - პროექტი დეტალურად და ნათლადაა აღწერილი – 10 ქულა; - პროექტის განაცხადი ნათლად აჩვენებს ქალის განვითარების შესაძლებლობებს ეკონომიკურ სფეროში – 10 ქულა; - სამიზნე ბაზარი – 10 ქულა; - დასაქმებულთა რაოდენობა – 10 ქულა; - პროექტის განხორციელების შედეგების ეფექტურობა – 10 ქულა; - პროექტის მდგრადობა – 10 ქულა; - პროექტის განაცხადის ყველა პუნქტი შევსებულია – 10 ქულა; - პროექტის ბიუჯეტი რეალურადაა დაგეგმილი – 10 ქულა; - პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები ტექნიკურად განხორციელებადია – 10 ქულა.

	კონკურსის I ეტაპის გამარჯვებული პროექტი გამოვლინდება უმაღლესი შეფასების შედეგად, რომელსაც მიღებული აქვს ქულათა საშუალო არითმეტიკულის 50% მეტი. **კონკურსის II ეტაპი:** კონკურსის II ეტაპის გამარჯვებული გამოვლინდება აპლიკანტის, კომისიის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს კომისიის წევრების მიერ ობიექტის ადგილზე დათვალიერება. პროექტები, რომლებიც დადებით შეფასებას მიიღებენ, ამასთან წარმატებით გაივლიან გასაუბრებას, რეიტინგის შესაბამისად, გამარჯვებულად ჩაითვლებიან. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) შევსებული განცხადება მერის სახელზე; ბ) შევსებული სააპლიკაციო ფორმა (ფორმა წინასწარ მტკიცდება საკონკურსო კომისიის მიერ); გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; დ) სამოტივაციო წერილი (ხელმოწერილი); ე) მიწის ნაკვეთის საკუთრების/იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან), იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება; ვ) დანადგარის, ტექნიკის ან სხვა ნივთის შეძენის შემთხვევაში ბაზრის კვლევის შედეგები (ინვოისი - სულ მცირე 3 მომწოდებლისაგან. ამასთან, განახლებული ინვოისი წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულების დადებისას, რის მიხედვით დადგინდება აპლიკანტის თანამონაწილეობის თანხის საბოლოო ოდენობა); ზ) დაფინანსების შემთხვევაში - კონკურსანტის/განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია. კონკურსს აცხადებს და შესაბამის პროცედურებს ახორციელებს მერის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა ხდება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროგრამის პირობების შესაბამისად. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც გამარჯვებულ აპლიკანტთან დებს ხელშეკრულებას და გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით. თანხის ჩარიცხვა განხორციელდება გამარჯვებული აპლიკანტის მიერ გასაღები თანამონაწილეობის თანხის (პროექტის საერთო ღირებულების 20%) გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. გამარჯვებულ აპლიკანტს თანხა დაერიცხება წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის ნომერზე. კონკურსში გამარჯვებულის მიერ შესასრულებელი პირობები განისაზღვრება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას (მერი) და კონკურსში გამარჯვებულ აპლიკანტს შორის, დადებული ხელშეკრულებით. პროგრამა არ ვრცელდება წინა საბიუჯეტო წლის კონკურსის გამარჯვებულებზე.

მოსალოდნელი შედეგი	ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივების გამოვლენა. საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური ჩართულობისა და გაძლიერების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 04 22		180.0	540.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახები ან პირი, რომელთა საცხოვრებელი სახლი, სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევების და სხვა გარემოებების გამო დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისათვის საშიში გახდა. ასევე პირები, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი. თავშესაფრის გარეშე დარჩენილი პირის/ოჯახის დახმარება გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში 12 თვემდე ვადით. ბინის ქირის ოდენობა განისაზღვრება ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ფორსმაჟორის შემთხვევაში დაზარალებული ოჯახის (მოქალაქის) სასტუმროში განთავსება და დაბინავების ხარჯები ანაზღაურდეს ამ პროგრამის ფარგლებში, გონივრულ ვადაში, ალტერნატიული ფართის მოძიებამდე. პროგრამის მონიტორინგს აწარმოებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, უზრუნველყონ ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საცხოვრებელ ფართში, ბენეფიციარის ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის სისტემატური გადამოწმება და ინფორმაცია მიაწოდონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს. გადამოწმების შედეგად, ბენეფიციარის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის შეცვლა გამოიწვევს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული დახმარების შეწყვეტას. **პროგრამის მართვა:** ამ პროგრამის ფარგლებში მოქალაქემ მერიაში უნდა წარადგინოს: ა) განცხადება მერის სახელზე; ბ) პირადობის მოწმობის ასლი; გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის საკუთრების რეგისტრაციის თაობაზე (არსებობის შემთხვევაში); დ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი; ე) ქირავნობის ხელშეკრულება ნოტარიულად დამოწმებული			

	ბენეფიციარსა და გამქირავებელს შორის; ვ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს გამქირავებლის სახელზე საცხოვრებელი ფართის საკუთრების რეგისტრაციის ფაქტს; ზ) ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში შემაკავებელი, დამცავი ორდერი ან ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; თ) გამქირავებლის საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი. დაფინანსებაზე გადაწყვეტილება მიიღება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, სამუშაო ჯგუფის დასკვნის (სხდომის ოქმის) საფუძველზე. გამოყოფილი თანხა გამქირავებელს დაერიცხება საბანკო ანგარიშზე.
მოსალოდნელი შედეგი	თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანგბადდამოკიდებული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება ჟანგბადით უზრუნველყოფის მიზნით	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 04 26		10.0	30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჯანგბადდამოკიდებული ბენეფიციარებისათვის, ჟანგბადით უზრუნველყოფის მიზნით, მატერიალურ დახმარებას 300 ლარით, წელიწადში ორჯერ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბენეფიციარებისათვის. **პროგრამის მართვა:** დახმარების მისაღებად მოქალაქემ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: ა) წერილობითი განცხადება; ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ) მკურნალი ექიმის მიერ შევსებული ფორმა N100 ავადმყოფის დიაგნოზისა და ჟანგბადის მოხმარების აუცილებლობის მითითებით; ე) საბანკო ანგარიშის ნომერი. დახმარება გაიცემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, სამუშაო ჯგუფის დასკვნის (სხდომის ოქმის) საფუძველზე.			
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერა.			

<table>
<tr><td rowspan="3">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="3">საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ფინანსური დახმარება</td><td colspan="2">დაფინანსება ათას ლარებში</td></tr>
<tr><td rowspan="2">06 04 27</td><td>2025 წელი</td><td>2026-2028 წ.წ.</td></tr>
<tr><td>10.0</td><td>30.0</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="4">ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="4">ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ფინანსურ დახმარებას.

პროგრამით გათვალისწინებული ფულადი სოციალური დახმარების ოდენობა შეადგენს 200 ლარს წელიწადში არაუმეტეს ორჯერ.

პროგრამის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას, განვითარებას, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

პროგრამის მართვა:
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან მესამე პირების მიერ განხორციელებული შეტყობინება (მათ შორის ანონიმური ზარი).

ბავშვიანი ოჯახების ფულადი სოციალური დახმარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ადმინისტრაციული აქტით, რომლის საფუძველია ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკის შესაბამისი დასკვნა.

გადაწყვეტილების მისაღებად ასევე წარმოსადგენია:
ა) პროგრამით მოსარგებლის და განმცხადებლის პირადობის მოწმობის (საჭიროების შემთხვევაში დევნილის მოწმობის) ასლები, დაბადების მოწმობის ასლი და რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტი (აუცილებლობის შემთხვევაში);
ბ) საჭიროების შემთხვევაში, ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
გ) საჭიროების შემთხვევაში, შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის ნომერი;
ე) სხვა დამატებით დოკუმენტი საჭიროების შემთხვევაში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე გამოყოფილი თანხა ჩაირიცხება ბავშვის კანონიერ წარმომადგენელზე/მეურვეზე/მზრუნველზე გახსნილ საბანკო ანგარიშზე.

ამასთან, დასკვნას და შესაბამის დოკუმენტებს ამზადებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი, ხოლო ბრძანების პროექტს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და დევნილთა განყოფილება.</td></tr>
</table>

მოსალოდნელი შედეგი	„ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბავშვის ოჯახის მხარდამჭერი ღონისძიება, საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დიაბეტით დაავადებულ (18 წლამდე) ბავშვთა მატერიალური დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 04 28		16.8	50.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ბავშვები საჭიროებენ სპეციფიკურ მოვლას და კვებას, რაც გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული. ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ბავშვების მატერიალური დახმარების მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი პროგრამა. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვს (შემდგომში - ბავშვი) ფინანსური დახმარება გაეწევა თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით. მშობელი ან/ კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1. მშობლის ან/ კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ განცხადება შემოაქვს კანონიერ წარმომადგენელს); 2. იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით), თუ ბენეფიციარი იძულებით გადაადგილებული პირია (აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში საინფორმაციო ბარათი იუსტიციის სახლიდან/სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან არ არის საჭირო); 3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100, ბენეფიციარის დიაგნოზის (დიაბეტი) მითითებით; 4. დიაბეტით დაავადებული ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; 5. საინფორმაციო ბარათი ბენეფიციარის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ, იუსტიციის სახლიდან/სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან; 6. დიაბეტით დაავადებული ბავშვის მშობელის/კანონიერი წარმომადგენელის საბანკო ანგარიშის ნომერი. დახმარება გაეწევა დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვებს,			

	რომლებიც განცხადების შეტანის მომენტისთვის მინიმუმ ბოლო 6 თვე რეგისტრირებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში. შემოსული დოკუმენტაცია მოწმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურში. ბიუჯეტიდან გამოყოფილი მატერიალური დახმარება, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრულ მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს დაერიცხებათ საბანკო ანგარიშზე.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი და საჭიროების მქონე მოსწავლეების სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარებში	
			2025 წელი	2026-2028 წ.წ.
	06 04 30		10.0	30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ოჯახები ვერ ახერხებენ ბავშვებისათვის სასკოლო ნივთების შეძენას, რაც ხშირ შემთხვევაში ბავშვის განვითარების შემაფერხებელია. ბავშვებისთვის ცხოვრების ეს ეტაპი კრიტიკულად მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ ასაკში ბავშვი ინტენსიურად ითვისებს სასკოლო უნარებს, გრამატიკულად სწორად მეტყველებას, წერას, თეორიულ აზროვნებას. ქვეპროგრამის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და განათლების ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას, განვითარებას, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას. ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები საჭიროების მქონე I-VI კლასის მოსწავლეები, მათ შორის სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვები. სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია, განცხადება ან მესამე პირების მიერ განხორციელებული შეტყობინება (მათ შორის ანონიმური ზარი). ქვეპროგრამით გათვალისწინებულია სასკოლო ნივთების, მათ შორის სასკოლო ჩანთა, პენალი, რვეულები, სახატავი რვეული, კალამი და ფერადი ფანქრები, წებო, ფერადი ფურცლები,			

	მაკრატელი, სახაზავი, საღებავი, გუაში და ფუნჯი, პლასტილინი და საძერწი დაფა, სამაგიდო თამაში – ჭადრაკი და სხვა. **პროგრამის მართვა:** ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, არასრულწლოვანი პირის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება ან მესამე პირების მიერ განხორციელებული შეტყობინება (მათ შორის ანონიმური ზარი). გადაწყვეტილების მისაღებად ასევე წარმოსადგენია: ა) პროგრამით მოსარგებლის, ბავშვის მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის (საჭიროების შემთხვევაში დევნილის მოწმობის) ასლები, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (აუცილებლობის შემთხვევაში); ბ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (საჭიროების შემთხვევაში); გ) მეწარმე/იურიდიული პირის მიერ გაცემული ინვოისი, თითოეულ ბავშვზე არაუმეტეს 100 ლარისა; დ) სხვა დამატებითი დოკუმენტი საჭიროების შემთხვევაში. ამასთან, დოკუმენტებს ამზადებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული სასკოლო ნივთებით დახმარება, საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეიძლება გაეწიოთ არაუმეტეს 100 (ასი) ლარამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, წელიწადში ერთხელ, თითოეულ ბავშვზე; ანგარიშსწორება განხორციელდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინვოისში მითითებული მეწარმე/ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით. თანხები გამოიყოფა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების (ბრძანება გამოიცემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკის დასკვნის შესაბამისად) საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	„ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბავშვის ოჯახის მხარდამჭერი ღონისძიება, საჭიროების მქონე ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის განვითარებას, განათლების მიღების და ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას. სასწავლო წლის განმავლობაში, სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფილი იქნება 100-მდე ბავშვი.

<table>
<tr><td rowspan="3">პროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="3">სოციალური მომსახურების ცენტრის ხელშეწყობა</td><td colspan="2">დაფინანსება ათას ლარებში</td></tr>
<tr><td rowspan="2">06 07</td><td>2025 წელი</td><td>2026-2028 წ.წ.</td></tr>
<tr><td>1 700.0</td><td>5 700.0</td></tr>
<tr><td>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="4">ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი"</td></tr>
<tr><td>პროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="4">პროგრამის მიზანია მოქალაქეთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესება, აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება, სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბების, მოსახლეობის სამართლიანი და ეფექტური დახმარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წინადადებებისა და ინფორმაციების მომზადება.

ა) შინმოვლის სერვისი

პროგრამის მიზანია შინმოვლის სერვისის განვითარებისა და დანერგვის გზით უნარშეზღუდული/მოწყვლადი ადამიანებისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, კვალიფიციური სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე იმ პირთათვის, რომლებიც საკუთარ თავს ვერ უვლიან.

პროგრამა ვრცელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეებზე.

პროგრამა ითვალისწინებს დაუძლურებული ან/და ლოგინს მიჯაჭვული ბენეფიციარებისათვის, კვალიფიციური მედდების, ექიმისა და ტექნიკური მუშაკის დახმარებით, სოციალური და სამედიცინო სერვისების მიწოდებას ადგილებზე.

სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია მოიცავს მომსახურებას სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: საკვებისა და მედიკამენტების მიღებას, წნევის კონტროლს, პირად ჰიგიენას, ყოველდღიურ ინსტრუმენტალურ აქტივობებს და სხვას.

მოქალაქემ მომსახურების მისაღებად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს:
1) მკურნალი ექიმის მიერ შევსებული ფორმა IV-100/ა - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
2) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
3) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით).

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრში“ შექმნილი კომისიის მიერ 10 დღეში ერთხელ; კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება დასკვნის სახით. კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოიცემა დირექტორის ბრძანება პროგრამის ბენეფიციარების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ.

ბ) უფასო კვებით უზრუნველყოფა</td></tr>
</table>

	არამდგრადი შრომის ბაზარი, სოციალურად დაუცველი ოჯახები, საკვებ პროდუქტებზე მაღალი ფასები მოითხოვს შეიქმნას ერთჯერადად, უფასო კვების სერვისი. პროგრამა ითვალისწინებს ყოველდღიურად უმწეო მოქალაქეთა უზრუნველყოფას ცხელი სადილით დღეში ერთხელ. იმ მოქალაქეებს, რომელთაც უჭირთ გადაადგილება, არიან ლოგინს მიჯაჭულები, გაეწევათ მომსახურება ბინაზე მიტანით. სასადილოს ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას ან აქვთ ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობის უფლება, მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერები, შშმ პირები და სხვა, დაახლოებით 360 ბენეფიციარი. პროგრამა ვრცელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეებზე. მოქალაქემ მომსახურების მისაღებად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს: 1) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან; 2) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; 3) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით). მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრში“ შექმნილი კომისიის მიერ 10 დღეში ერთხელ; კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება დასკვნის სახით. კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოიცემა დირექტორის ბრძანება პროგრამის ბენეფიციარების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ. **გ)** სამსახური ახორციელებს მოქალაქეებიდან შემოსული წინადადებებისა და განცხადებების (საცხოვრებელი ადგილის დადასტურების, ოჯახის შემადგენლობის, საკუთრების დადასტურება - მიწის, შინაური პირუტყვის, საშენი მასალის, სტაციონარული დახმარების, წამლის ვაუჩერით დახმარების და სხვა) შესწავლას და დაგეგმილ ვადებში კვალიფიციური პასუხის მომზადებას, მათ შორის მოსახლეობის ცხოვრების დონის, სოციალური სერვისებით უზრუნველყოფის, შესაბამისი საჭიროების მქონე შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა) პრევენციული, სარეაბილიტაციო და ალტერნატიული მომსახურების, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მუშაობის ხელშეწყობას მათ უფლებამოსილების ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით (წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციისა და დასკვნის მიწოდება), არსებული საინფორმაციო ბანკის სისტემატურ განახლებას, მოსახლეობის სამართლიანი და ეფექტური დახმარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წინადადებებისა და ინფორმაციების მომზადებას.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა მიზანი 3- ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	გენდერული	დიახ
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება მოსახლეობის მომსახურების სერვისი და ცალკეული კატეგორიების მოქალაქეთა სოციალური პირობები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ფოთის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 08		2025 წელი	2026-2028 წ.წ.
			2 000.0	6 000.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; შპს „ფოთის სატრანსპორტო კომპანია“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა გენდერულად მგრძნობიარეა, რომელიც ხელს უწყობს ქალების, ბავშვების, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების გადაადგილებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. 1) M3 კატეგორიის იმ ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, 50% შეღავათიანი მგზავრობით ისარგებლებენ ქალაქ ფოთში რეგისტრირებული (მცხოვრები) შემდეგი კატეგორიის მოქალაქეები: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; გ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები; ე) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. მგზავრობის გადასახადისაგან სრულად თავისუფლდება ქალაქ ფოთში რეგისტრირებული (მცხოვრები) შემდეგი კატეგორიის მოქალაქეები: ა) 0 – 6 წლამდე ბავშვები; ბ) სკოლის მოსწავლეები (24 საათში 2-ჯერ); გ) ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის“ ბენეფიციარები, სასადილოს თანამშრომლები, მედდები და ექიმები; დ) ა(ა)იპ კოალიცია „სოციალური რეფორმებისათვის“ დღის ცენტრის თანამშრომლები. ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფი დამხმარე ნებისმიერი			

	პირი. ტრანსპორტით მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 50 თეთრის ოდენობით. 2) M2 კატეგორიის ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადისაგან თავისუფლდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარები, ასევე ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის“ მედდები და ექიმები.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას.		

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან დაფინანსდება, ისეთი ხარჯები, როგორიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა) დაფარვა.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	9 457,5	9 303,7	9 402,6	9 547,1
01 01	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2 470,8	2 636,5	2 821,2	3 020,5
01 02	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	5 972,9	5 742,9	5 742,9	5 742,9
01 04	სარეზერვო ფონდი	150,0	150,0	150,0	150,0

01 05	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	20,0	20,0	20,0	20,0
01 06	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	843,8	754,3	668,5	613,7

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ბექა ვაჭარაძე